აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 708 750,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 650 587,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,8 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 596 100,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 627 751,6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 105,3 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024 წლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 97,1 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 575 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 609 385,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106,0 პროცენტი.

2. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2024 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 21 100,0 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 18 366,0 ათასი ლარი ანუ გეგმის

87,0 პროცენტი.

სხვა შემოსავლების საანგარიშო პერიოდის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე: პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 14 706,1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 770,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 73,2 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 925,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 802,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 194,7 პროცენტი (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 448,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 634,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 364,8 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 20,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 8,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 44,5 პროცენტი; ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 5 000,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 149,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83,0 პროცენტი.



არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 112 650,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 22 835,5 ათას ლარს, ანუ გეგმის 20,3 პროცენტი. საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება, სამინისტროს მიერ განსაკარგად გათვალისწინებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, რომლებიც არ შედგა განაცხადების შემოუსვლელობის გამო.

საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 797,2 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22 038,3 ათასი ლარი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა 764 700,2 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 663 340,0 ათას ლარს, რაც გეგმის 86,7 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 7 519,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 6 663,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 88,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 4 347,1 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 4 035,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 92,8 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 5 763,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 4 607,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79,9 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 127 263,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 86 274,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 67,8 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 142 636,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 118 375,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 83,0 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა

71 645,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 71 202,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 99,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 32 014,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 28 938,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90,4 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნებას, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივ განსაზღვრას და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობას, 2024 წლის გამოყოფილი დაზუსტებული გეგმა შეადგენს 373 510,8 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 343 242,7 ათას ლარს, რაც გეგმის 91,9 პროცენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2024 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 14 867,2 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 3 ბრძანებით გამოეყო 15,0 ათასი ლარი განათლებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეთა ღვაწლის დაფასების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 3 082 ბრძანებით გამოეყო 10 390,0 ათასი ლარი სამედიცინო, მატერიალური და სხვადასხვა მომსახურების/დახმარების გაწევის მიზნით.

ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 5 ბრძანებით გამოეყო 4 462,2 ათასი ლარი ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2024 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების გეგმამ შეადგინა 160 393,9 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 147 119,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,7 პროცენტია.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2024 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 136 049,8 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 122 566,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,1 პროცენტია.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 35 733,1 ათასი ლარით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 2 564,5 ათასი ლარით, შპს „გოდერძი რესორტს“ დაფინანსება 872,9 ათასი ლარით, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება 12 843,1 ათასი ლარით, შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარიას“ დაფინანსება 418,5 ათასი ლარით და შპს „აჭარის აქტივების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 183,6 ათასი ლარით.

საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში

საანგარიშო პერიოდში გადახდილია ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრობის, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ხელშეწყობის ასოციაციის და პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირისა და შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის საწევრო გადასახადები 22,5 ათასი ლარის ოდენობით.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 482,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 1 296,0 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 13 852,8 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში გაცემული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები 17,0 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის №10 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი იქნა 4 194,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 5 244,5 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივ განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა 26,6 ათასი ლარით.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2024 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე 5 შემდეგ პროგრამას: რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა 2024 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 818,0 ათასი ლარს, საკასო ხარჯი 810,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-განელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 30,0 ათასი ლარი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 171,5 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 493,3 ათასი ლარი;
4. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მოვლა-პატრონობა და შენახვა“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების მოვლა-შენახვისა და კომუნალური ხარჯები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 81,6 ათასი ლარი;

5. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა აუდიტორული მომსახურების შეძენა. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 33,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,1 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2024 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 187,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 170,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „საინვესტიციო შეხვედრების/ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის მიზნით განხორციელდა 4 ღონისძიება:

2024 წლის 12-14 ივნისს ქ. ბათუმში გაიმართა ევროპის რეგიონთა ასამბლეის შავი ზღვის სამიტი. აღნიშნულ კონფერენციას პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე ესწრებოდა ინვესტორები, როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 53,6 ათასი ლარი.

2024 წლის 20-22 აგვისტოს ბათუმში, გაიმართა სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნული შეჯიბრი, სადაც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ადამიანმა. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 11,0 ათასი ლარი.

2024 წლის 28-29 სექტემბერს ბათუმში, გაიმართა „სტარტაპ საინვესტიციო ფორუმი - ბათუმი 2“ ღონისძიება, რომლის მიზანი იყო საქართველოში ქართული ტექნოლოგიური სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობა „ჭკვიანი ფულის“ ინვესტიციების ფასილიტაციით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა სტუმარმა. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 24,8 ათასი ლარი.

2024 წლის 11 ოქტომბერს, ქალაქ ბათუმში, გაიმართა უძრავი ქონების პროექტების ეროვნულ გალა დაჯილდოვება “FIABCI-Georgia Prix d’Excellence Awards 2024”. გამარჯვებულ კომპანიებს, საქართველოს სახელით, თავიანთი პროექტების მსოფლიო დაჯილდოვებაზე წარდგენის და საერთაშორისო აღიარების მოპოვების შესაძლებლობა მიეცათ. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 81,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,0 %

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2024 წლის გეგმა შეადგენს 125,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 124,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გარდა) ტერიტორიებზე შემუშავებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მართვა“ ფარგლებში სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფის მიერ ცვლილებები შევიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის დოკუმენტში, ასევე დაზუსტდა შუახევის მუნიციპალიტეტში ჩირუხის მთის განაშენიანების დეტალური გეგმის დოკუმენტში დასაგეგმარებელი არეალები. დასრულდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩაქვი-ციხისძირის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა. განხილულია ხულოს მუნიციპალიტეტში სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის განაშენიანების რეგულირების გეგმაში შესაძლო ცვლილებების საკითხები. ასევე სამუშაო ჯგუფი ჩაერთო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირებისა და შესაბამისი რეგლამენტის შემუშავებისა და რეკომენდაციების საკითხებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუშაობს სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 124,0 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება 2024 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 707,5 ათას ლარს, საკასო შესრულება 2 089,1 ათას ლარს.

ღონისძიების „გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტრის განვითარება“ ფარგლებში შემსრულებელმა კომპანიამ შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-მა დაამუშავა და სამინისტროს შეათანხმა გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე კონკრეტული არეალის სამთო-სპორტულ-ტურისტული ინფრასტრუქტურისა და საბაგირო გზის წინასაპროექტო კონცეფცია (წელიწადის ოთხი დრო) და განისაზღვრა საბაგირო გზის დასხდომის სადგურების ნიშნულები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 35,0 ათას ლარს.

ღონისძიების „ზანკები-გოდერძის გადასასვლელის დამაკავშირებელი და ჭანჭახის უღელტეხილი-ბეშუმის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში შემსრულებელმა კომპანიამ შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-მა დაამუშავა და სამინისტროს შეათანხმა ზანკები-გოდერძის (მეტეო) გადასასვლელის დამაკავშირებელი და ჭანჭახის უღელტეხილი-ბეშუმის არეალის დამაკავშირებელი სპორტულ-ტურისტული სასრიალო ტრასებისა და საბაგირო გზების სადგურების შერწყმის და

საბაგირო გზების დასხდომის სადგურების ნიშნულები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 35,0 ათას ლარს.

ღონისძიების „სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება (თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა)" ფარგლებში დასრულებულია შემდეგი სამშენებლო სამუშაოები:

- გამოფენა-ბაზრობა (23.14.36.742 მიწის ნაკვეთზე) - მოწყობილია ძირითადი კონსტრუქციული სისტემა;

- პარკინგი (23.14.36.743 ნაკვეთზე) გრუნტის ზედაპირი დამუშავდა ნულოვან ნიშნულამდე;

- ავტოსადგური (23.14.36.744 ნაკვეთზე) - მოწყობილია ძირითადი კონსტრუქციული სისტემა;

- თოვლის სატკეპნი ტექნიკის განსათავსებლად საჭირო ანგარი (23.14.36.784 მიწის ნაკვეთზე) - დასრულებულია ნულოვანი ნიშნულის მოწყობა და დამონტაჟებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემა, გადახურვის კონსტრუქციის გარდა;

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 2 019,1 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

„გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება" ღონისძიების ფარგლებში ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმვის საკითხი დროებით გადაიდო ახალი საბაგირო ტრასების შესაძლო მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან შესაბამისობისა და საჭიროების დადგენამდე.

„ხულო-თაგოს საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის წინასაპროექტო კვლევა" ღონისძიების ფარგლებში შემუშავდა ხულო-თაგოს საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის წინასაპროექტო კვლევისათვის საჭირო დოკუმენტაცია. სამშენებლო ობიექტის სპეციფიკიდან (უსაყრდენო საბაგირო გზა) გამომდინარე სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი პოტენციური კონტრაქტორის შერჩევა რთულად წარიმართა, ვინაიდან ადგილობრივი ბაზარი მსგავსი ობიექტების მიწოდებით ფაქტიურად არაა დაფარული. აღნიშნული ობიექტი მომეტებული საფრთხის შემცველია და მნიშვნელოვანია მისი უსაფრთხოებისა და ტექნიკური გადაწყვეტილების საკითხები დამუშავდეს მაღალი სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ღონისძიების ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

„ჩირუხის მთის ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრატრუქტურის განვითარება" ღონისძიების ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა. ჩირუხის მთისადმი ვიზიტორთა მზარდი ნაკადების გათვალისწინებით, დაიგეგმა ადმინისტრაციული და გადაუდებელი სამსახურების განთავსებისათვის ობიექტის მშენებლობა, რომლისთვისაც შეირჩა

შესაბამისი ტერიტორია, მაგრამ ნაადრევი თოვლიანობის გამო ვერ იქნა უზრუნველყოფილი ადგილზე საველე აზომვითი და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარება.

„სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება (თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის მოწყობა, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობა)"- ღონისძიების ფარგლებში დარჩა ეკონომია, ვინაიდან სამინისტროს კომპანიასთან შეთანხმებით ჰქონდა სამშენებლო სამუშაოების წინსწრებით შესრულების მოლოდინი. ასევე საპროექტო დოკუმენტაციაში შესატანი ცვლილებების დაგვიანების გამო ობიექტზე ვერ შესრულდა გეგმა-გრაფიკით გათვალისიწნებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რომელსაც დაემატა ნაადრევი გათოვლიანების გარემოება და ტერიტორიაზე არახელსაყრელი სამშენებლო სამუშაო პირობები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 56,3 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2024 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 365,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 990,1 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგებისათვის ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა" ფარგლებში დასრულდა მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის, მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგებისათვის ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 675,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა" ფარგლებში გადაფასდა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტია. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ზედა ჩხუტუნეთში მრავალფუქნციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის დასრულების სამუშაოები დაწყებულია. კონტრაქტორის მიერ ძირითადად შესრულებულია აღებული ვალდებულებები, გარდა გადახურვის ნაწილში არასტანდარტული კონსტრუქციის მონტაჟისა, რომლის მოწოდება შეფერხდა ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი ტიპის კონსტრუქციის დამზადების შეუძლებლობის გამო. ღონისძიების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ზედა ჩხუტუნეთის ცენტრის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების შეფერხებით, სამშენებლო არეალში მოქცეულ მესაკუთრეების ქონების გამოყენებაზე საბოლოო შეთანხმება ამ ეტაპზე არაა მიღწეული მესაკუთრეებთან. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 311,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება" ფარგლებში გადაფასდა სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი. ასევე 2024 წელს ღონისძიების ფარგლებში

დაიწყო ჭვანის ხეობაში არსებული საცალფეხო ბილიკის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება ვერ მოხერხდა სათანადო კლიმატური პირობების გამო (თოვლიანობა და დაბალი ტემპერატურა); საანგარიშო პერიოდში გაწეულია 3,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 72,5 %

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის 2024 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 16 843,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 4 140,3 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში დასრულდა ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.876, მიწის ნაკვეთის ფართობი: 9327 მ2) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები.

2024 წელს დაგეგმილი იყო ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობის დაწყება. სამშენებლო სამუშაოების დაწყება ვერ მოესწრო, ვინაიდან საჭირო გახდა ცვლილებები შესულიყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში. ასევე ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებას დასჭირდა გარკვეული დრო და შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვისათვის მოსამზადებელი პროცედურის განმეორებით ჩატარება; ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 2024 წლის დეკემბრის თვეში (NAT240025327), ხოლო ხელშეკრულება გაფორმდა 2025 წლის თებერვალში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 24,6 %

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის 2024 წლის გეგმა შეადგენს 100,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

„მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან დაგეგმილი იყო კომერციული ბანკების მიერ არაუმეტეს 147 სუბიექტზე გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 12%-ის ანაზღაურება. კომერციული ბანკების მხრიდან არ მომხდარა სესხების გაცემა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 369,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 2 369,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამა ითვალისწინებდა შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობას. 2024 წლის მდგომარეობით შპს „ენერჯი ინვესტი 2009"-მ შეასრულა ბუნებრივი აირის მილსადენის ბოგირების გადატანის სამუშაოები, რომლის განხორციელების საჭიროება განპირობებული გახდა საავტომობილო გზის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან (სავალი გზის ნაწილის გაფართოვება) გამომდინარე. ასევე დაბა ხულო - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე მოეწყო 6 650 გრძ/მ გაზსადენი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი" ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 13 355,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 12 403,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვასა და მიმდინარე ხარჯებზე გაწეულია 6 183,4 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათებისა და მუსიკალური შადრევნებისათვის ელექტროენერგიის ხარჯს, ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების, სანიტარული მომსახურების და ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების საკასო ხარჯმა შეადგინა 6 219,7 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების ფარგლებში „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა" განხორციელდა ბათუმის ბულვარში ახალი განათების ქსელის და ინსტალაციების, სანაპიროზე გასახდელებისა და საჩრდილობლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიღება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 35,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ველობილიკის რეაბილიტაცია" დასრულდა ველობილიკის რეაბილიტაციის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 1 777,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობა" დასრულდა სკეიტპარკის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 2 897,9 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ტექ. ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა“ განხორციელდა სკეიტპარკის მოწყობისა და ველობილიკის რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 85,2 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის ტერიტორიაზე არსებულ ელ. განათების წერტებზე დამიწების კონტურების გაზომვა/აღდგენის სამუშაოები“ განხორციელდა დამიწების კონტურების გაზომვის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 25,2 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაცია“ დასრულდა ორი სავარჯიშო მოედნის მოწყობა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 338,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში კოლონადების მიმდებარედ სკვერის მოწყობა“ დასრულდა სკვერის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 19,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ახალი ბულვარის ტერიტორიაზე საპირფარეშოს მოწყობა“ დასრულდა საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 114,2 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის სანაპიროსთვის საშხაპეების შეძენა-მონტაჟი“ განხორციელდა 30 ერთეული საშხაპის შეძენა მონტაჟი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 175,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სასმელი წყლის შადრევნის შეძენა-მონტაჟი“ განხორციელდა 20 ერთეული სასმელი წყლის შადრევნის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 90,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ცენტრალური შადრევნის მუსიკალური პროგრამის განახლება“ განხორციელდა მუსიკალური პროგრამის განახლება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 33,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სხვადასხვა სახის მრავალწლიანი ხე მცენარეების შეძენა“ განხორციელდა მრავალწლიანი ხე მცენარეების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 203,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ახალ ბულვარში ზეთისხილის ხეივნისთვის სხვადასხვა ზომის დეკორატიული ქოთნის (სკამის) შეძენა“ განხორციელდა 18 ერთეული სხვადასხვა ზომის დეკორატიული ქოთნის (სკამის) შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 96,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სათიბი და საკრეჭი ტექნიკის შეძენა“ განხორციელდა 4 ერთეული სათიბი და საკრეჭი ტექნიკის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 7,1 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბაღის კლასიკური სამმეტრიანი სკამების შეძენა“ განხორციელდა 95 ერთეული სკამის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 117,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შეძენა“ განხორციელდა 17 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის წყლის ტუმბოების და სათადარიგო ნაწილების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 159,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის ტერიტორიაზე ქანდაკებების დადგმა/რეაბილიტაცია“ განხორციელდა თანამედროვე რკინის სკულპტურა "ძაღლუკა"-ს და თანამედროვე რკინის სკულპტურა "ლიბერტე"-ს რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 43,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,9 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2024 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ქვეპროგრამა - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 237,3 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 166,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა - 2023 წლის გაფორმებული მრავალწლიანი ხელშკრულების ფარგლებში შ.პ.ს. „ბისი-ჯი კვლევა“-მ მიმდინარე წელს უზრუნველყო 2023 წლის კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპების შესაბამისი მასალების მოწოდება. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2023 წლის კვლევა დასრულდა. 2024 წლის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევას აწარმოებს შპს „ბისი-ჯი კვლევა“. დასრულდა კვლევის პირველი და მეორე ეტაპი, მიმდინარეობს მესამე და მეოთხე ეტაპი.

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის ფარგლებში ჩატარდა ტურისტთა განთავსების არარეგისტრირებული სექტორის კვლევა. აღნიშნული ბაზრის საკვლევად განხორციელდა სხვადასხვა ჯავშნის პლატფორმებზე რეგისტრირებული განთავსების ობიექტების სტატისტიკური მონაცემების შესყიდვა.

უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა - ღონისძიების ფარგლებში 2023 წლის კვლევას აწარმოებდა ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა კვლევა და კომპანიამ უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება. 2024 წლის უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევას აწარმოებს ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. კვლევის სამი ეტაპი დასრულდა, კომპანიამ უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება, მიმდინარეობს კვლევის მეოთხე ეტაპი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოშობილი ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 70,0 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 724,6 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 4 920,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეკლამო-მარკეტინგული საქმიანობა.

რეგიონის ტურისტული პროდუქტების, სერვისების, ტურისტული მიზიდულობის ცენტრებისა და ზოგადად ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა ონლაინ კამპანია სარეკლამო-საინფორმაციო პოსტების, იგივე ვიდეორგოლების სახით, საერთაშორისო სოციალური ქსელის, TIK-TOK-ის, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე Visit Batumi.

ბათუმის პოპულარიზაციისა და სხვადასხვა ქვეყნიდან მოგზაურების მოზიდვის მიზნით, ბათუმის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია განთავსდა წამყვან ევროპულ ტურისტულ პლატფორმაზე European Best Destinations-ის ოფიციალურ ვებგვერდზე და არა ერთგზის გაშუქდა უცხოური მედია გამოცემების მიერ.

ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, თბილისში, ავჭალის სტადიონზე გამართულ რაგბის ევროპის ჯგუფური ეტაპის ბოლო, საქართველო-ესპანეთის თამაშზე, განხორციელდა სარეკლამო კამპანია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეთა შორტები დაიბრენდა ბათუმის საპოპულარიზაციო წარწერებით, ასევე ბათუმის მაპოზიციონირებელი პოსტების ინტეგრაცია ხდებოდა რაგბის კავშირის ოფიციალური სოციალური მედიაგვერდების მეშვეობით. საერთაშორისო სპორტული მატჩების გაშუქება ხდებოდა როგორც ქართული, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული გადაცემების მიერ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

რეგიონის ტურისტული რესურსების და პროდუქტების შესახებ განხორციელდა ონლაინ კამპანია სარეკლამო-საინფორმაციო პოსტების, ვიდეოების და ფოტოების სახით, საერთაშორისო სოციალური ქსელის, Instagram/ინსტაგრამის აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე Visit Batumi.

ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ რაგბის ევროპის ჯგუფურ ნახევარფინალში, საქართველო-რუმინეთის თამაშზე განხორციელდა სარეკლამო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მოედნის ირგვლივ განთავსებულ ლედ მონიტორებზე ბათუმის სარეკლამო ვიდეოანიმაციის ჩვენება, ასევე მიხეილ მესხის სტადიონის გარე სივრცეში, ე.წ. ფანზონაში, 3მ x 5მ ლედ ეკრანზე ბათუმის სარეკლამო ვიდეოს ჩვენება და ბათუმის მაპოზიციონირებელი პოსტები განთავსდა რაგბის კავშირის სოციალური მედიის გვერდებზე; ასევე, ბათუმის პოპულარიზაციის მიზნით დაიბრენდა ბათუმის ლოგოტიპით საქართველოს რაგბის ნაკრების მორაგბეთა მაისურების მხარი. აღნიშნული მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია ხდებოდა საქართველოს ტელევიზიებით და საერთაშორისო მედია საშუალებებით.

ბათუმში „ევროპაბეთის“ ორგანიზებით გამართულ „ლეგენდების სერიის“ (Legend Series) პირველ მატჩზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „Inter Forever" და საქართველოს ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელები „GEO11“, განხორციელდა სარეკლამო კამპანია ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, რომლის ფაგლებშიც ლეგენდების მატჩის A4 ფორმატის ჟურნალში განთავსდა ორგვერდიანი სარეკლამო სტატია ბათუმისა და აჭარის შესახებ; Visit Batumi წარწერა დატანილ იქნა საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა სათამაშო მაისურებზე და ჰუდებზე. მოედნის ირგვლივ მდებარე ლედ მონიტორებზე განთავსდა ბათუმის ანიმაციური და სტატიკური სარეკლამო რგოლი; ასევე თამაშის დროს ტაბლოზე ანგარიშის დაფაზე/სტადიონის ლედ მონიტორზე გამოჩნდა ბათუმის ამონათებული ლოგო ანგარიშის და დროის ჩვენების დროს; თამაშთან დაკავშირებით აქტიურად ვრცელდებოდა სტატიები როგორც ქართული, ასევე იტალიური მედია საშუალებების მიერ.

ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, ქალაქ პარიზში საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის გამართული ევროპის ჩემპიონატის ფინალური თამაშის მატჩის მსვლელობისას განხორციელდა სარეკლამო კამპანია. კამპანიის ფარგლებში ბათუმის ლოგოტიპით დაიბრენდა მორაგბეთა მაისურების მხარი და ბათუმის ლოგოს ინტეგრაცია მოხდა თამაშის ანგარიშების პოსტების გამოქვეყნებისას. აღნიშნული მატჩი იყო ევროპის ფინალი, მატჩის მიმართ ინტერესი მთელი მსოფლიოდან იყო ძალიან მაღალი, მატჩის ტრანსლაცია ხდებოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მატჩზე წერდა და პოსტებს ავრცელებდა რაბგის და სპორტული საიტები, მათ შორის Rugby Europe და Rugby world-ი.

ბათუმის აჭარაბეთ არენაზე გამართულ მსოფლიო რაგბის ივლისის ტესტების სერიის პირველ მატჩზე, საქართველოსა და ფიჯის შორის თამაშის მსვლელობისას

განხორციელდა საქართველოს რაგბის ნაკრების მორაგბეთა მხარზე ბათუმის ლოგოტიპის დატანა, სტადიონის ბრენდირება, გასახდელებში და მოთამაშეების გამოსასვლელ გვირაბში ბათუმის ლოგოტიპის განთავსება, ასევე 2 ბეჭდური ბანერის განთავსება სტადიონის მეორე იარუსზე და 2 ცალკე სახურავიდან გადმოსაკიდებელი ბანერი, 30 წამიანი სარეკლამო ჭრა რაგბი ტv-ში თამაშის ტრანსლაციის დროს შესვენებაზე.

ასევე ბათუმის როგორც სპორტული ტურიზმის პოპუპარიზაცია განხორციელდა საქართველო-იტალიისა და საქართველო-ტონგას შორის გამართულ რაგბის ტესტ თამაშებზე. ონლაინ პორტალი www.BIRDINGPLACES.eu www.birdingplaces.eu-ს ვებგვერდზე Birdingplaces In the spotlight განყოფილებაში განთავსდა ციფრული სარეკლამო სტატია, ბათუმისა და აჭარის ბერდვოჩინგის ტურისტული პოტენციალის შესახებ. სამი სარეკლამო-საპრომოციო ონლაინ სტატია განთავსდა პოლონურ მაღალრეიტინგულ ვებპორტალებზე podroze.onet.pl, forbes.pl, businessinsider.com.pl. და ერთი სარეკლამო ლინკი პორტალზე Onet Wiadomości.

ჟურნალი „Birdwatch"-ის მაისისა და ივნისის ნომრებში დაიბეჭდა ორგვერდიანი სარეკლამო სტატია ბათუმში გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების როგორც ტურიზმის სახეობის შესახებ.

ჩეხეთის რეპუბლიკის ერთ-ერთ ონლაინ სამოგზაურო მედიაში „Svět outdooru, s.r.o"-ს ვებსაიტზე - HedvabnaStezka.cz გამოქვეყნდა სამი სტატია ბათუმისა და მთიანი აჭარის შესახებ. კამპანიის ფარგლებში ასევე დაიბეჭდა სტატია აჭარის შესახებ, იმავე კომპანიის ბეჭდურ ჟურნალ „TravelLife"-ში.

ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ ARABIAN TRAVEL MARKET-ის ბეჭდურ გამოცემაში ATM Dubai YEARBOOK განთავსდა ბათუმის ორგვერდიანი ფოტო რეკლამა და ორგვერდიანი სარედაქციო სტატია.

ავიაკომპანია „Air Baltic" ჟურნალში მიმდინარეობდა კამპანია 2 ორგვერდიანი სარეკლამო სტატიის სახით, რომელიც განთავსებულია მაისის, ივნისისა და ივლისის გამოცემებში. საერთაშორისო ავიაკომპანია „Wizz Air"-ის საბორტო ჟურნალში „Wizz magazine" ხორციელდება საინფორმაციო სტატიის განთავსება 2 გვერდზე ივნისი/ივლისის, აგვისტო/სექტემბრის და ოქტომბერი/ნოემბრის გამოცემებში.

განხორციელდა აჭარის საიმიჯო 30-წამიანი ვიდეო რგოლის 120 ჩვენება 4 კვირის განმავლობაში სატელევიზიო DEUTSCHE WELLE-ს ინგლისურენოვან მაუწყებლობაზე და ერთი სარეკლამო-საინფორმაციო სტატიის განთავსება dw.com-ზე.

ბათუმის როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციისათვის, აჭარის კრივის ფედერაციის ორგანიზებით ბათუმში გამართულ კრივის საერთაშორისო ტურნირზე ოთხი დღის განმავლობაში განხორციელდა ბათუმისა და აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლების ჩვენება ლედ მონიტორზე სპეციალური გახმოვანებით და საჭირო განათებით 20-ზე მეტ ქვეყანაში ტურნირის ტრანსლაციის დროს ჭრებში.

ბათუმისა და საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციისა და ბათუმის ტურისტული ადგილების გაცნობის მიზნით, განხორციელდა ტურიზმისა და აჭარაში მოგზაურობის მასტიმულირებელი, ტურისტული ქალაქებისათვის დამახასიათებელი პოპულარული, კრეატიული ფოტო ინსტალაციების მოწყობა, კერძოდ: საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სარფის გამშვები პუქტის ტერიტორიაზე განთავსდა ლაითბოქსი „Welcome to Georgia / კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში“.

ღონისძიების „სარეკლამო, საინფორმაციო, გამოცდილების გაზიარებითი და გაცნობითი ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ექსპერტების, ტურიზმის დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტის ან/და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული/ტურიზმის სფეროს მასტიმულირებელი დარგის წამომადგენლებისთვის“ ფარგლებში, ჩატარდა 48 ტური, შემდეგი ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, დანია, უნგრეთი, იტალია, თურქეთი, ლატვია, საფრანგეთი, სომხეთი, ინდოეთი, ლიეტუვა, ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ფინეთი, ესტონეთი, უზბეკეთი, საუდის არაბეთის სამეფო, ქუვეითი, პოლონეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, ჩინეთი და შვედეთი. ტურების ფარგლებში მომზადდა სტატიები ბათუმისა აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით.

ასევე ღონისძიების ფარგლებში დეპარტმანტმა უმასპინძლა 2024 წლის 12-14 ივნისს აჭარის რეგიონში გაიმართულ ევროპის რეგიონთა ასამბლეის შავი ზღვის სამიტის სტუმრებს, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან (ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იტალია, კვიპროსი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და ა.შ.). აჭარის რეგიონისა და საქართველოს ტურისტული პოტენციალის და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით, 2024 წლის 14 ივნისს სამიტის სტუმრებისათვის სოფელ ზემო ჩხუტუნეთში - ღია ცის ქვეშ გაიმართა კულინარიული ღონისძიება აჭარული სოფლის ცხოვრების ყოველდღიურობის გაცნობის მიზნით, საქართველოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკის გამოყენებით.

ასევე აჭარის რეგიონს ეწვია საქართველოში ჩაის კულტურის შემომტანის ლაო ჯინ ჯაოს შთამომავალი, ჰოუ ლი და ჩინეთის მაღალრეიტინგული გამომცემლობების და კრეატიული კომპანიების ინფლუენსერები, ჟურნალისტები და ფოტოგრაფ-ვიდეოგრაფები. ჩაის კულტურის წარმოჩენის და პრეზენტაციის მიზნით, ჩატარდა ჩაის თემატიკასთან დაკავშირებული ღონისძიება, ჩაის მომზადებისა და დაგემოვნების პროფესიონალური მასტერკლასებით, გაიმართა შეხვედრა და პრეზენტაცია ლაო ჯინ ჯაოს შთამომავალსა და აჭარის ადგილობრივ გიდებს შორის, რამაც საშუალება მისცა რეგიონის გიდებს ერთის მხრივ, მოესმინათ ქართული ჩაის წარმოების ისტორია და გაცნობოდნენ ჩაის დაგემოვნების პროცედურებს და მეორეს მხრივ, მოესმინათ ლაო ჯინ ჯაოს შესახებ ინფორმაცია, ისტორიული ფაქტები და დაკავშირებული მოვლენები უშუალოდ მისი შთამომავლისგან.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიღო 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში. აჭარის რეგიონი და რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ პლატფორმაზე. კერძოდ:

1. ესპანეთი, მადრიდი - ,,FITUR'';

2. ფინეთი, ჰელსინკი - „MATKA EXPO“;

3. ლიეტუვა, ვილნიუსი - ,,ADVENTURE'';

4. ა.შ.შ., ნიუ იორკი - „NEW YORK TRAVEL AND ADVENTURE SHOW“;

5. ლატვია, რიგა - „BALTTOUR“;

6. ესტონეთი, ტალინი - „TOUREST“;

7. სტამბოლი, თურქეთი - „EMITT“;

8. ნიუ დელი, ინდოეთი - „SATTE“;

9. დანია, ჰერნინგი - „Danish Travel Show“;

10. უნგრეთი, ბუდაპეშტი - „Travel“;

11. პოლონეთი, ვროცლავი - „MTT WROCLAW“;

12. გერმანია, ბერლინი - „ITB“;

13. ავსტრია, ვენა - „Ferien Messe Wien“;

14. ჩეხეთი, პრაღა - „HOLIDAY WORLD & REGION WORLD“.

15. ყაზახეთი, ალმათი - „kift“;

16. არაბთა გაერთიანებული საამიროები - „atm dumai“;

17. გერმანია ფრანკფურტი - „imex frankfurt“;

18. საუდის არაბეთი, ერ რიადი - „riyadh travel fair“;

19. ჩინეთი, შანჰაი - „itb china“;

20. საფრანგეთი პარიზი - ,,iftm top resa“;

21. იტალია, რიმინი ,,ttg rimini“;

22. დიდი ბრიტანეთი, ლონდონი ,,wtm london“;

23. ესპანეთი, ბარსელონა ,,ibtm barcelona“;

24. პოლონეთი, ვარშავა ,,tt warsaw“;

25. უზბეკეთი, ტაშკენტი ,,titf tashkent“.

ასევე ღონისძიების ფარგლებში უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ კესთჰეიის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე და უნგრეთის რესპუბლიკის ქალაქ ბუდაპეშტში, ბუდას ციხესიმაგრეში, „ბუდაპეშტის 33-ე ღვინის ფესტივალის“ ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებისათვის მოეწყო აჭარის კუთხე, სადაც განთავსდა ბათუმისა და აჭარის საინფორმაციო და საპრომოციო მასალები და ასევე, ღონისძიების სტუმართათვის გაიმართა ღვინის, ფელამუშისა და ჩურჩხელის დეგუსტაცია. ღონისძიებებს ქალაქის მოსახლეობასთან ერთად დაესწრნენ მედიის, ტუროპერატორების, ტურსააგენტოების და სხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები.

საქართველომ პირველად უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას - ტურიზმის მსოფლიო დღეს, რომლის მთავარ თემატიკას წარმოადგენდა „ტურიზმი და მშვიდობა“. მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილ მასშტაბურ ღონისძიებებზე დასასწრებად, საქართველოს ეწვივნენ UNWTO-ს გენერალური მდივანი, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტურიზმის მინისტრები და სხვა მაღალი რანგის სტუმრები, მასპინძლობის და ავიაციის სფეროს ექსპერტები, საერთაშორისო სპიკერები და რეიტინგული მედიის წარმომადგენლები. მსოფლიო ტურიზმის დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის ღონისძიებები ჩატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის აჭარის რეგიონშიც - ევროპის მოედანსა და გონიოს ციხეში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,2 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 590,4 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 165,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში, აჭარის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და რეგიონში შიდა ტურისტების მოზიდვის მიზნით დეპარტამენტმა განახორციელა აქტიური სარეკლამო კამპანიები, ორგანიზება გაუწია პიარ და მარკეტინგულ ღონისძიებებს, პრეს და ინფოტურებს მთიანი აჭარის ახალ ტურისტულ მიმართულებებზე.

რეგიონის ახალი ტურისტული მიმართულებებისა და პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პრეს-ინფოტურების ფარგლებში იანვარი-სექტემბრის პერიოდში 11 მედია ტური ჩატარდა, რომელსაც 84-მდე ქართველი ჟურნალისტი, ბლოგერი, ინფლუენსერი, ფოტოგრაფი და სამთო გიდი სტუმრობდა. რის შედეგადაც აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შესახებ სოციალურ ქსელებში 200-მდე რილსი/პოსტი/სთორი გამოქვეყნდა, პოპულარულ ტელეარხებზე და ონლაინ მედიაში 65-მდე სტატია და გადაცემა გამოქვეყნდა.

სიუჟეტები მომზადდა და გავიდა ტელეკომპანია იმედის გადაცემაში „იმედის დილა“, ასევე რუსთავის 2-ის გადაცემაში „შუადღე“, პირველი არხის გადაცემაში „ბიზნეს პარტნიორი“ და აჭარის ტელევიზიის სხვადასხვა გადაცემებში..

აჭარაში ტურიზმის განვითარების, ახალი ტურისტული მიმართულებებისა და პროდუქტების შესახებ სარეკლამო სტატია/ნიუსი გამოქვეყნდა „ახალი ამბები“-ს სააგენტოს 4 პოპულარულ ვებგვერდზე AMBEBI.GE, BPN.GE, KVIRISPALITRA.GE და INTERPRESNEWS.GE.

რეგიონში შიდა ტურისტების მოზიდვის მიზნით საქართველოს პოპულარული რადიო არხებისთვის მომზადდა კრეატიული აუდიორგოლები. „ფორტუნას“, „ფორტუნა პლუსის“, „არ დაიდარდოს“ და „ავტორადიოს“ ეთერებში ზაფხულის განმავლობაში ტრიალებდა რეგიონის ტურისტულ ადგილებზე მოგზაურობის მასტიმულირებელი სარეკლამო რგოლები.

რეგიონის სამთო და საზღვაო, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და ადგილების პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობდა კრეატიული სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში“, რომლის ფარგლებშიც მონაწილე ბლოგერ-ინფლუენსერები აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და რეკომენდაციებს სოციალურ ქსელებში აქტიურად უზიარებდნენ ასიათასობით გამომწერს. სარეკლამო კამპანიის წვდომების საერთო რაოდენობამ სოციალურ ქსელებში 250 000 000 გადააჭარბა.

შიდა ტურიზმის სტიმულირებისა და აჭარაში მოგზაურობის სტიმულირების მიზნით 400 კვადრატულ მეტრ კედელზე აჭარის თემატიკაზე დაიხატა 4 ნამუშევრი.

გარდა ამისა, ზაფხულის ფესტივალის ორგანიზების ფარგლებში ზღვის სანაპიროზე მოეწყო სეზონის გახსნის სავიზიტო ბარათად ქცეული ფრანების შოუ, რომელიც დიდი ინტერესით და პოპულარობით სარგებლობს ფესტივალის სტუმრებში, ასევე სახალხო დღესასწაულ შუამთობის ფარგლებში ბეშუმში მოეწყო ფრანების შოუ.

ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ შუამთობის ფარგლებში გაეწია ორგანიზება სხვადასხვა პიარ მარკეტინგულ აქტივობას მაღალმთიანი აჭარის ტრადიციების პოპულარიზაციისა და მოგზაურობის წახალისების მიზნით მთა ჩირუხში, ზორტიყელში, ჯვარიმინდორსა და კურორტ ბეშუმში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,3 %

ქვეპროგრამის - რეგიონის, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 570,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 467,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდა 21 500 ცალი სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურა მასალა, 65 700 სხვადასხვა დასახელების სარეკლამო-საპრომოციო მასალა, 50 ცალი სარეკლამო დადგმული ლანდშაფტური და საინფორმაციო ფოტო.

შესრულების მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ სარეკლამო და საპრომოციო მასალების დამზადებას დაჭირდა მეტი დრო და ვერ მოესწრო მიმდინარე წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 29,8 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას, აქედან ქვეპროგრამა - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრიულ ხარჯებს და 2 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4 020,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 3 097,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს განხორციელდა ცხრა საინფორმაციო გაცნობითი ტური.

ჩატარდა ზაფხულის სეზონის გახსნის ფესტივალები ბათუმსა და ქობულეთში, ასევე ჩატარდა ფრინველებზე დაკვირვების, სოფლად ტურიზმისა და მოლაშქრეთა ფესტივალები.

განხორციელდა ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე, ისპანის ტორფნარზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობა და შესრულდა გადამფენ ფრინველებზე დაკვირვების კოშკის სამშენებლო სამუშაოები.

დასრულდა აჭარის რეგიონში არსებული და მივიწყებული ხალხური თამაშობებისა და სათამაშოების კვლევა და შესწავლილი მასალით გზამკვლევის მომზადება.

ტურისტული ლოკაციებისთვის დამზადდა ტურისტული მანიშნებლები.

განხორციელდა სოფლად არსებული საოჯახო სასტუმროების მომსახურების ხარისხის კვლევა-შეფასება.

დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურა -„ბათუმი-აჭარის-გზამკვლევი, აჭარის რუკა, კატალოგები, მარშრუტები“.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული ტურისტულ ლოკაციებზე არსებულ სხვადასხვა ინფრასტრუქტურას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

მოხდა აჭარის მთებსა და სოფლებში, ტურისტულ ლოკაციებზე დადგმული, საიმიჯო ფოტოების, მინი ვლოგების გადაღება.

მოხდა ონლაინ რეკლამის შესყიდვა, visitajara–ის ოფიციალურ Facebook გვერდზე.

შესრულდა აჭარაში დაცული ხალხური მხატვრული ხელოვნების (ორნამენტების) ნიმუშების კვლევა და კვლევის შედეგების მიხედვით გზამკვლევის/ალბომის მოზადება.

შესრულდა საქართველოს კულინარიის კვლევა და გასტრონომიული კრებულის მომზადება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ აჭარის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე საპიკნიკე ინფრასტუქტურის მოწყობის სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულდა, თუმცა დიდთოვლობის გამო ექსპერტიზის დასკვნა გადაიდო და შესაბამისად, შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურებაც ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,0 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 382,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 959,9 ათას ლარს.

ღონისძიების „ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელება“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული სატრენინგო ღონისძიებების შედეგად გადამზადების კურსი გაიარა ტურიზმის სექტორში დასაქმებულმა 674 პირმა. შემდეგ სატრენინგო თემატიკაში:

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის მუშაობის ძირითადი პრინციპების შესახებ თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი.

აჭარის რეგიონში არსებული კვების და განთავსების ობიექტების ბარის თანამშრომლებისათვის ყავისა და ჩაის მომზადების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი.

აჭარის რეგიონში არსებული კვების ობიექტების თანამშრომლებისათვის „სერვის+“-ის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი.

აჭარის რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა თემაზე ტრენინგები ტრენერ/სპიკერ-ქოუჩებთან შეხვედრის სახით.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული საოჯახო ღვინის მარნების წარმოამდგენლებისათვის ღვინის თემაზე „სტუმრებისთვის ღვინის გაცნობა, დაჭაშნიკება და ღვინით მომსახურების ძირითადი წესები“.

ასევე აჭარის რეგიონში სოფლად არსებული განთავსების ობიექტებისათვის, კერძოდ, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კოტეჯებისათვის ,,სოციალური მედიის გვერდების შექმნის/რედაქტირების და მათი ეფექტურად მართვის“ თემაზე ჩატარდა თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები.

ღონისძიების „ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით“ ფარგლებში დეპარტამენტმა გაუწია ორგანიზება და უმასპინძლა ბათუმის გიდების პირველ საერთაშორისო კონფერენცია/ღონისძიებას.

ასევე, საქართველოსა და ბასკეთის გასტორნომიულ კონგრესზე „Culinary Connection Euskadi-Georgia“-ა აჭარის რეგიონის რესტორნებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისა და შეფ-მზარეულების მასტერკლასებში ჩართულობისათვის გაეწია ორგანიზება შესაბამის ღონისძიებას.

აჭარის რეგიონში სერვისის ხარისხის ამაღლების მიზნით მოხდა ღონისძიების ორგანიზება-ფორუმისა და დისკუსიების სახით. აჭარის რეგიონში სტუმარმასპინძლობის სფეროს წარმომადგენლებისათვის გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშემწყობის მიზნით მოეწყო ბათუმის მეორე საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმი პანელური დისკუსიებითა და უცხოელი შეფ-მზარეულების მონაწილეობით.

ჩატარდა სამი მასტერკლასი შემდეგი მიმართულებებით:

- თევზეულისა და ზღვის პროდუქტების მომზადების მასტერკლასი, ტრენერი - შეფი ბერტრან ვალეჟა (საფრანგეთი/საბერძნეთი).
- ხორცეულის მომზადების მასტერკლასი, ტრენერი - შეფი სტეფან იაკიჩი (საფრანგეთი).
- კონდიტერიის მასტერკლასი, ტრენერი - შეფი ნიკოლა გეღსიო (საფრანგეთი).

ღონისძიების „ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება“ ფარგლებში ჩატარდა აჭარის რეგიონში უცხოელ და ადგილობრივ ტურისტთა კმაყოფილების კვლევა.

დაიბეჭდა 6 000 ცალი საინფორმაციო ბროშურები „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“ და „თევზეული ქართულ სამზარეულოში“. ღონისძიების „ვიდეოგაკვეთილების მომზადება სერვისის განვითარებისათვის“ ფარგლებში მომზადდა 6 ვიდეო-რგოლი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,4 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2024 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 19 675,8 ათას ლარს, შესრულება - 10 972,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 4 გზის და მიმდინარეობს 10 გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობაზე სამუშაოები.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვულია იმით, რომ გარკვეულ სამშენებლო ობიექტებზე კონტრაქტორმა კომპანიებმა ვერ დაასრულეს სამშენებლო

სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, ასევე არაერთ ღონისძიებაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა, რის გამოც საანგარიშგებო პერიოდში ვერ განხორციელდა რიგი ღონისძიებების შესყიდვა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 55,8 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 16 589,4 ათას ლარს, შესრულება - 9 942,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დასრულდა 3 ხიდის მშენებლობა/რეაბილიტაცია. 2 ხიდის მშენებლობა წარმოადგენს მრავალწლიანი შესყიდვის საგანს, ხოლო 4 ხიდის სამშენებლო სამუშაოების დასრულება კონტრაქტორმა კომპანიამ ვერ განახორციელა საანგარიშგებო პერიოდში. 3 ხიდის სამშენებლო სამუშაოები საანგარიშგებო პერიოდში არ დაწყებულა კონტრაქტორი კომპანიის მიერ რთული კლიმატური პირობების გამო.

დასრულდა 83 საყრდენი კედლის მშენებლობა, ხოლო 12 საყრდენი კედლის მშენებლობა კი ვერ დასრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. 1 საყრდენი კედლის სამშენებლო სამუშაოები შეწყდა, ხოლო ერთ ხელშეკრულებას კი მიენიჭა შეუსრულებელი სტატუსი. 8 საყრდენი კედლის სამუშაოების დაწყება საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ ვერ მოხდა, რის გამოც მიმდინარეობს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურები.

დასრულდა 15 დამცავი ნაგებობის მშენებლობა. 1 ობიექტის მშენებლობა შეწყდა მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, ხოლო 1 დამცავი ნაგებობის მშენებლობა საანგარიშგებო პერიოდში არ დაწყებულა და მიმდინარეობს ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში არაერთ სახელმწიფო შესყიდვას მიენიჭა სტატუსი „არ შედგა“, ხოლო ზოგიერთი პროცედურა დასრულდა უარყოფითი შედეგით. გარდა ამისა, კომპანიებმა ვერ შეძლეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საანგარიშგებო პერიოდში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 59,9 %

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 22 259,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 18 506,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

შეძენილია ავტომანქანისა და მძიმე ტექნიკის მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები, განხორციელდა ავტომანქანების მიმდინარე რემონტი, შესყიდულია სათადარიგო ნაწილები და სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი;

განხორციელებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალისგან და თოვლის საფარისგან;

განხორციელდა მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებების ოფისის გაზიფიცირება;

გაწეულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მექანიზმის ყოველთვიური მომსახურების ხარჯი;

შეძენილია მონოლითური ბეტონი;

გაწეულია ხარჯი სამშენებლო მასალების შესაძენად;

შეძენილია სპეცტანსაცმელი;

განხორციელებულია საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნების დამზადებისთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა;

განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთება;

განხორციელდა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

შეძენილია მილები;

შეძენილია საგზაო სარკეები და საგზაო ბარიერები

შეძენილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

განხორციელდა მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებების ოფისების ავეჯით აღჭურვა;

განხორციელდა ნიადაგის გეოლოგიური კვლევა;

განხორციელდა გარემოსდაცვითი კვლევა - სკრინინგი/სკოპინგი;

შეძენილია საგზაო ნიშნების საბეჭდი მოწყობილობა;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

გაწეულია ხარჯი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურეობის ასანაზღაურებლად;

განხორციელდა გასულ წლებში განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში დაკავებული თანხების ანაზღაურება;

გაწეულია ხარჯი მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაზღვევის მიზნით;

განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ფარგლებში გასული წლის დავალიანების ანაზღაურება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში მონოლითური ბეტონის შესყიდვასთან დაკავშირებით კომპანიების მიერ ვერ მოხდა დროულად ლაბორატორიული დასკვნების წარმოდგენა. გარდა ამისა, კომპანიების მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა ბეტონის სრულად მოწოდება რთული კლიმატური პირობების გამო. შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული რესურსი განპირობებულია კადრების მობილობით. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ღონისძიებაში არსებული რესურსი გამოწვეულია ინფრასტრუქტურული პროექტების შეფერხებით განხორციელების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2024 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ზოგადი განათლება, პროფესიული და უმაღლესი განათლება, საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 37 464,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 31 661,1 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 6 საჯარო სკოლის მშენებლობა და მიმდინარეობს 9 საჯარო სკოლის მშენებლობა, სულ გაწეულია 15 173,0 ათასი ლარი.

სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა (2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 61,0 ათასი ლარით, დასრულდა ღია მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა (მშენებლობა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია 2023-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ნევ სტაილ ბილდინგ“-ი, რომელიც დაფინანსებულია 132,4 ათასი ლარით, დასრულდა სპორტ დარბაზის მშენებლობა სრულად.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 286,4 ათასი ლარით, დასრულებულია სპორტული და სააქტო დარბაზის მშენებლობა- ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, კერძოდ, ფასადის და ეზოს კეთილმოწყობა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2022-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მტმ“-ი, რომელიც დაფინანსებულია 721,9 ათასი ლარით. მშენებლობა დასრულებულია.

სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ანაგი“, რომელიც დაფინანსებულია 4 080,4 ათასი ლარით, დასრულდა შენობის მშენებლობა სრულად.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ძმები“, რომელიც დაფინანსებულია 53,1 ათასი ლარით. დასრულებულია სპორტული დარბაზის მშენებლობა სრულად.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „სისაიდ გრუპ “-ი, რომელიც დაფინანსებულია 26,2 ათასი ლარით, დასრულდა ფასადისა და სველი წერტილების სამუშაოები. ძირითადი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 41,6 ათასი ლარით.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 651,4 ათასი ლარით, განხორციელდა დემონტაჟის, საძირკვლის და კონსტრუქციის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2023-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 721,1 ათასი ლარით. დასრულდა საძირკვლის და კონსტრუქციის მშენებლობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2023-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 785,0 ათასი ლარით. დასრულდა არსებული შენობის რეაბილიტაცია. დასრულდა ასევე სპორტდარბაზის საძირკვლის მოწყობა და კედლების მშენებლობა.

ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლის აშენება (მშენებლობა 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიკა 2010“, რომელიც დაფინანსებულია 2 527,7 ათასი ლარით, დასრულდა შენობაში ტიხრებისა და კედლების ამოყვანის სამუშაოები, ასევე

ელ. სისტემის მონტაჟი. დასრულდა ფილის მოწყობის სამუშაოები ორივე ბლოკში. დასრულდა სახურავის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 750,7 ათასი ლარით. დასრულდა საძირკვლის და კედლების ამოყვანის სამუშაოები.

სსიპ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და დამატებითი კორპუსების მშენებლობა 2024-2026 წწ) -სამუშაოებს ახორციელებს შპს „ირე ქონსტრაქშენი“, რომელიც დაფინანსებულია 26,7 ათასი ლარით, განხორციელდა ღობის მოწყობის სამუშაოები. ასევე სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“ , რომელიც დაფინანსებულია 223,4 ათასი ლარით. განხორციელდა სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლა (მშენებლობა/რეკონსტრუქცია 2021-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 181,8 ათასი ლარით, დასრულებულია შიდა მოპირკეთების სამუშაოები, გათბობისა და ელ. გაყვანილობები. ასევე დამატებითი სასწავლო კორპუსის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა.

სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის (ძირითადი და საძილე კორპუსების მშენებლობა 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დს კონსტრაქშენი“, რომელიც დაფინანსებულია 3 902,2 ათასი ლარით. დასრულებულია ორივე კორპუსის მშენებლობა, სახურავის მოწყობა და შიდა კეთილმოწყობის სამუშაოების ნაწილი.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2024-2025 წწ) - განხორციელდა სანებართვო მოსაკრებლის გადახდა თანხით 1,2 ათასი ლარი. განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება ტენდერის გამოსაცხადებლად.

2 საჯარო სკოლის მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი - სსიპ ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ) და სსიპ ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2024-2026 წწ).

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს/დასრულებულია 46 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, სულ გაწეულია 14 762,1 ათასი ლარი.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვაძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ) - სამუშაოები განახორციელა ინდ. მეწარმე კუკური დოლიძემ, რომელიც დაფინანსებულია 157,6 ათასი ლარით. დასრულდა ფასადის სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ) - სამუშაოები განახორციელა ინდ. მეწარმე კუკური დოლიძემ, რომელიც დაფინანსებულია 366,7 ათასი ლარით. დასრულდა შენობის რეაბილიტაცია.

სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოები განახორციელა მშენებელი კომპანია შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 65,3 ათასი ლარით, დასრულდა შენობის ფასადის, ეზოს და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 715,6 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის, ფასადისა და ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაშტას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 215,6 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასე შპს „ალიგატორი 1“-ს მიერ განხორციელდა სახურავის მოწყობა თანხით 2,3 ათასი ლარი.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 100,8 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავისა და ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2025 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 22,4 ათასი ლარით, დასრულდა ღია მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“-ი, რომელიც დაფინანსებულია 8,0 ათასი ლარით, დასრულდა შენობის სახურავის შეკეთება.

სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“-ი, რომელიც დაფინანსებულია 7,3 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის შეკეთება.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუსთარ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 31,5 ათასი ლარით, დასრულდა გათბობის სისტემისა და შიდა სამღემბრო სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოები განახორციელა მშენებელი კომპანია შპს „ბუილდინგ კომპან“-მა, რომელიც დაფინანსებულია 4,3 ათასი ლარით, დასრულდა გათბობის სისტემის მოწყობისა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოები განახორციელა მშენებელი კომპანია შპს „ბუილდინგ კომპან“-მა, რომელიც დაფინანსებულია 21,2 ათასი ლარით, დასრულდა გათბობის სისტემის მოწყობისა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა ინდ. მეწარმე კუკური დოლიძე, რომელიც დაფინანსებულია 47,3 ათასი ლარით. დასრულდა სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა ინდ. მეწარმე კუკური დოლიძე, რომელიც დაფინანსებულია 190,0 ათასი ლარით. დასრულდა სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია და სავარძლების მონტაჟი.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 44,5 ათასი ლარით. დასრულდა ღია მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 47,5 ათასი ლარით. დასრულდა ღია მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მტმ“, რომელიც დაფინანსებულია 320,6 ათასი ლარით, დასრულდა სრული რეაბილიტაცია. ამავე სკოლაში სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 25,7 ათასი ლარით, დასრულდა ღია მოედნისა და ამფითეატრის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა ინდ. მეწარმე კუკური დოლიძე, რომელიც დაფინანსებულია 165,4 ათასი ლარით. დასრულდა სველი წერტილების მოწყობა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“-ი, რომელიც დაფინანსებულია 9,0 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის შეკეთება.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 99,0 ათასი ლარით, დასრულდა ღია მოედნის და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 248,5 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის, ფასადის, სველი წერტილების და შიდა სამღებრო სამუშაოები. ასევე სამუშაოები სკოლაში განახორციელა შპს „მოდერნ ბილდინგ კომპან“-მა, რომელიც დაფინანსებულია 75,8 ათასი ლარით. დასრულდა ფასადის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ქობულეთის N5 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „მტმ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 195,0 ათასი ლარით. დასრულდა სრული რეაბილიტაცია.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 36,2 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავისა და შიდა მოსაპიკეთებელი სამუშაოები. ასევე სკოლაში შენობის იატაკების სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2017“-მა თანხით 230,1 ათასი ლარი.

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ბეგი ჯორჯია“, რომელიც დაფინანსებულია 112,8 ათასი ლარით. დასრულდა შიდა მოსაპირკეთებელი და სამღებრო სამუშაოები, ასევე ფასადისა და ეზოს კეთილმოწყობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.), სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2025 წწ.), სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.), სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.), სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.), სსიპ ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2025 წწ.) და სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შემსრულებელმა კომპანიამ შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 133,0 ათასი ლარით. კეთილმოეწყო სველი წერტილები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 245,0 ათასი ლარით. დასრულდა შენობის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა იატაკების შეცვლა. ასევე ღობის მოწყობის სამუშაოები განახორციელა შპს „777-7“-მა თანხით 119,9 ათასი ლარი.

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2025 წწ.) - სამუშაოები განახორციელა მშენებელმა კომპანია შპს „სისაიდ გრუპ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 51,2 ათასი ლარით და განხორციელდა სპორტული მოედნისა და ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ამავე სკოლაზე სამუშაოებს ახორცილებდა შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 1 237,2 ათასი ლარით, რომლის ფარგლებში განხორციელდა დამატებითი საკლასო ოთახების მოწყობა, სპორტული და სააქტო დარბაზების რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „იმედი XXI“, რომელიც დაფინანსებულია 102,0 ათასი ლარით. დასრულდა ეზოს კეთილმოწყობა, სარდაფში მოეწყო სანიაღვრე სისტემა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 77,0 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის რეაბილიტაცია.

სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა (2024 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ირე ქონსტრაქშენი“, რომელიც დაფინანსებულია 30,3 ათასი ლარით, დასრულდა ღობის და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „სისაიდ გრუპი“, რომელიც დაფინანსებულია 80,8 ათასი ლარით. დასრულდა სპორტდარბაზის რეაბილიტაცია.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 286,4 ათასი ლარით. დასრულდა სახურავისა და ფასადის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლა (2024 წ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ბუილდინგ კომპან“-მა, რომელიც დაფინანსებულია 9,2 ათასი ლარით, დასრულდა გათბობის სისტემის სამუშაოები.

სსიპ სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 1 597,2 ათასი ლარით. დასრულების ეტაპზეა შიდა მოსაპირკეთებელი და ფასადის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბილდკინგს“-ი, რომელიც დაფინანსებულია 385,5 ათასი ლარით. ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი, კერძოდ, სადემონტაჟო სამუშაოები და სახურავის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 143,4 ათასი ლარით. განხორციელდა სრული რეაბილიტაციის სამუშაოების ნაწილი, კერძოდ, გაყვანილობების მოწყობა, კედლების დამუშავება და ფასადის სამუშაოები.

სსიპ ომარ ასლანიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 751,3 ათასი ლარით. ჩატარდა სრული რეაბილიტაციის სამუშაოების ნაწილი, კერძოდ, ფასადის მოწყობა, შიდა კედლების დამუშავება და იატაკების მოწყობა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ნიუსთარ“-ი, რომელიც

დაფინანსებულია 51,5 ათასი ლარით. ჩატარდა შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს ი/მ კუკური დოლიძე, რომელიც დაფინანსებულია 78,6 ათასი ლარით. განხორციელდა შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ, სველი წერტილების მოწყობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 3 317,3 ათასი ლარით, დასრულდა გამაგრებითი სამუშოები და მიმდინარეობს სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია, დასრულდა ფასადის სამუშაოების ნაწილი.

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 285,1 ათასი ლარით. ჩატარდა შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.)- სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 934,1 ათასი ლარით. დასრულდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სსიპ ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024 წ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 100,9 ათასი ლარით. დასრულდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2025 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 1 179,2 ათასი ლარით, მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ფასადისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესყიდულია 21 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გაწეულია თანხა 462,7 ათასი ლარი. შესასყიდი პროექტების დარჩენილი ნაწილიდან, რიგ შემთხვევებში მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები, რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებების დადებულია და მზადდება საპროექტო დოკუმენტაციები, ხოლო რიგ შემთხვევებში მიმდინარეობს პროექტების შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან ნებართვის მისაღებად, რის გამოც საანგარიშო პერიოდში პროექტების ძირითად ნაწილზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება და ანგარიშსწორება ვერ განხორციელდა.

„საჯარო სკოლების შენობების და ტერიტორიის სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოების“ ფარგლებში განხორციელდა 3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ გაწეულია 51,7 ათასი ლარი:

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N2 საჯარო სკოლა - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუ სთარ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 8,6 ათასი

ლარით, მოეწყო სველი წერტილები, დასრულდა შიდა მოსაპირკეთებელი და ელ. სისტემის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლა - სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუ სთარ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 32,5 ათასი ლარით, დასრულდა ეზოს კეთილმოწყობისა და შშმ პირებისათვის პანდუსების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 10,6 ათასი ლარით, ჩატარდა შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

ასევე „საჯარო სკოლების შენობების და ტერიტორიის სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოების“ ფარგლებში განხორციელდა ინვენტარით მოწყობა (მერხები და სკამები) თანხით 187,8 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, ალტერნატიული უძრავი ქონების დაქირავებაზე (იჯარა) გაწეულია 345,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის კოორდინატორის, მონიტორინგის ჯგუფისა და საპროექტო ჯგუფის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 167,9 ათასი ლარი, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ექსპერტიზაზე გაწეულია 481,8 ათასი ლარი, შენობის უსაფრთხოება და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (პროექტირება, შემოწმება/შეფასება და სამუშაოები, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა) გაწეულია 14,9 ათასი ლარი, საჯარო სკოლების შენობების კონსტრუქციული და მიწის გეოლოგიური კვლევა, პროექტების და ნახაზების შედგენაზე გაწეულია 12,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სკოლების ნაწილში მიმდინარეობს პროექტების მომზადება, ხოლო ნაწილ სკოლებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვება, რის შემდეგაც გამოცხადდება ელექტრონული ტენდერები 2025 წელს. რიგ შესრულებულ სამუშაოებზე მიმდინარეობდა ექსპერტიზები და შესაბამისად თანხის გადარიცხვა ვერ განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,5 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 085,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 772,3 ათას ლარს.

ღონისძიების - მომავლის განათლება (კომპლექტი სკოლისთვის) ფარგლებში 22 საჯარო სკოლა აღიჭურვა 168 ცალი ლეპტოპით და 200 ერთეული პროექტორი/ეკრანით თანხით 693,1 ათასი ლარი.

ღონისძიების - ბიბლიოთეკების რემოდელირების ფარგლებში განხორციელდა 3 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის სივრცის რეაბილიტაცია და ავეჯით აღჭურვილია ბიბლიოთეკის სივრცეები თანხით 239,9 ათასი ლარი.

6 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით: პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ. თანხით 60,0 ათასი ლარი.

30 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით, თანხით 164,9 ათასი ლარი.

15 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდირებულია, შეძენილია ინვენტარი და სხვადასხვა რესურსი თანხით 222,4 ათასი ლარი.

31 საჯარო სკოლისთვის მერხებისა და სკამების შესაძენად გადარიცხულია ავანსი თანხით 392,0 ათასი ლარი. სასკოლო ავეჯის მოწოდება განხორციელდება 2025 წლის განმავლობაში.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ სასკოლი ინვენტარზე გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი ვერ შედგა და გამოცხადდა ხელახლა, როს გამოც წლის განმავლობაში თანხის სრულად ათვისება ვერ მოხერხდა. ასევე არის ტენდერების შედეგად მიღებულია ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 57,4 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 10 092,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 997,7 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა თანხით 9 950,3 ათასი ლარი. გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 47,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,1 %

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4 274,7 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 717,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 1 288,5 ათასი ლარი. ასევე გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე - 17,5 ათასი ლარი.

41 სტუდენტმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი 54,6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასწავლო კორპუსის სახურავს. გაწეულია 357,2 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხარჯის (კაპიტალური გრანტი) აუთვისებლობით, ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი ვერ შედგა, ხელეხალი შესყიდვის გამოცხადებისთის პროცედურებთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები საანგარიშო პერიდში ვერ მოესწრო, ასევე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის შეძენისათვის მიმდიანრეობდა ტექნიკური დავალების შედგენა, მშენებლობის მოცულობიდან და მაშტაბებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცედურები ამ ეტაპისთვისაც მიმდინარეობს. ასევე სტუდენტთა საერთაშორისო პრაქტიკაზე ბენეფიციარების შერჩევა ხდება კომისიური წესით და კომისიის მიერ 150 ბენეფიციარის ნაცვლად შერჩეული იქნა 41 ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 40,2 %

ქვეპროგრამის - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 300,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 2 032,0 ათას ლარს.

საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა სტუდენტური სივრცის მოწყობა, აკადემიის ტერიტორიაზე განლაგებული სველი წერტილების რემონტი,საწვრთნელ აუზზე სამაშვლო კანჯოს მოწყობა და ე.წ. ჭკვიანი დაფების შესყიდვა (20 ერთეული). გარდა ამისა, საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა პერსონალური კომპიუტერების, პრინტერების და პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების შესყიდვა. შეძენილ იქნა ლოგისტიკის პროგრამული უზრუნველყოფა, GMSDD სიმულატორი,შრომის უსაფრთხოების,სახანძრო-სამაშველო,წყლის ხარისხის ტესტირების ლაბორატორიები. მოეწყო გემის ხიდურის საკლასო ოთახი. განხორციელდა ინფრსატრუქტურის განვითარების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურისა

და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით სულ გაწეულია 2 016,8 ათასი ლარი.

აკადემიის 1 სტუდენტის საზღვაო პრაქტიკისთვის (Georgian Crewing Agency - GCA) საკრუინგო კომპანიაში გაწეულია ხარჯი 15,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,3 %

ქვეპროგრამის - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 460,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 416,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსებულია უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესორ მასწავლებელების შრომის ანაზღაურება - 1 320,0 ათასი ლარი.

შეძენილი იქნა სასწავლო კომპიუტერები და უნივერსიტეტის კორპუსის ფასადის ერთი მხარე შეიფუთა თუნუქით, შეძენილი იქნა ლაბორატორიებისთვის პრინტერები, რითმის დარბაზში დამონტაჟდა ორი ერთეული შვედური კედელი; დასრულდა სასწავლო თეატრის სცენის განათებითა და კონსტრუქციებით აღჭურვა. სულ გაწეულია 79,8 ათასი ლარი.

გადახდილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასური17,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 634,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი 634,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განხორცილდა კომუნალური ხარჯების, სახელფასო დავალიანებისა და აკრედირაციის საფასურის გადახდა თანხით 299,4ათასი ლარი.

განხოციელდა სასწავლო სივრცეების სარემონტო სამუშაოები თანხით 335,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამა - ზოგადი განათლება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 007,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 873,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2024 წლისათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის

დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 18 პედაგოგი, რაზეც გაწეულია 180,9 ათასი ლარი.

„პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 161 პროექტი თანხით 601,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „საგნების გაძლიერებული სწავლების“ ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. გაწეულია ხარჯი 12,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა წარმატებულ მასწავლებლებთან შეხვედრა და გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო (2 მასწავლებელი), სულ გაწეულია ხარჯი 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე გადამზადდა ორი პედაგოგი პროფესიული განვითარების მიზნით თანხით 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ შემაჯამებელი კონფერენცია თახით 46,7 ათასი ლარი, ასევე მასწავლებლებთან შეხვედრის ორგანიზებაზე გაწეულია 3,9 ათასი ლარი, „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ მეორე ეტაპის გამარჯვებული პროექტების ავტორებთან შეხვედრა თანხით 8,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ საგნების გაძლიერებული სწავლების მიზნით გეგმით გათვალისწინებული ჯგუფები ვერ იქნა შევსებული, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო პირობებს აკმაყოფილებდა მხოლოდ ორი პედაგოგი (დაგეგმილი იყო 15 პედაგოგი), მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით დასაქმებული მასწავლებებლები კონკურისი წესით სრულად ვერ იქნა შერჩეული.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,8 %

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 799,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 677,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 2023 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით 3 ცალი სმარტ საათი თანხით 1,8 ათასი ლარი, ასევე 2023 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით შეძენილია 33 ცალი ლეპტოპი, გაწეულია ხარჯი 59,4 ათასი ლარი, 101 ერთეული პლანშეტის შეძენაზე

გაწეულია 45,8 ათასი ლარი, ბრენდირებული სასაჩუქრე მასალის შესაძენად გაწეულია 1,9 ათასი ლარი.

განხორციელდა კონკურსების ორგანიზება - ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნებისა და ესეების კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის - სულ გაწეულია ხარჯი 95,4 ათასი ლარი.

დაფინანსდა 22 სასკოლო კლუბის ინიციატივა თანხით 47,8 ათასი ლარი .

დაფინანსდა 36 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი თანხით 100,0 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია 9 საზაფხულო სკოლის ორგანიზებას თანხით 250,2 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების ფარგლებში 10 მოსწავლე გაემგზავრა თურქეთის სამეცნიერო ბანაკში გაწეულია 16,9 ათასი ლარი, 10 მოსწავლე გაემგზავრა პოლონეთში, ვროცლავში თანხით 24,0 ათასი ლარი, ორგანიზება გაეწია პოლონეთიდან 10 მოსწავლის შემეცნებითი ტურს თანხით 34,1 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ შექმნილია ტენდერებიდან ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,7 %

პროგრამა - პროფესიული და უმაღლესი განათლება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 920,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 471,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 1 086 სტუდენტის სწავლება თანხით 1 142,1 ათასი ლარი.

50%-70%-100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებულია 50%-70%-100% გრანტის მფლობელი 380 პირველი კურსის სტუდენტი თანხით 272,0 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების 92 წარჩინებული სტუდენტი, რაზეც გაწეულია 57,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ წინა სემესტრში დაფინანსებულმა სტუდენტების ნაწილმა ვერ გადალახა ქვეპროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ბარიერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,6 %

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 640,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 280,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7 კონფერენცია 133,9 ათასი ლარი.

დაფინანსდა 3 სეზონური სკოლის ორგანიზება თანხით 27,8 ათასი ლარი.

ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ადრეული განათლება და ზრუნვა (International Conference on Early Childhood Education and Care - ECEC) თანხით 40,0 ათასი ლარი. კონფერენცია ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდთან საქართველოში (UNICEF Georgia) პარტნიორობით.

ღონისძების ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსდა 10 სტუდენტის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და 2 სტუდენტის სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალში თანხით 30,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა“ ფარგლებში ითარგმნა და დაიბეჭდა 6 სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურა თანხით 49,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სტუდენტური ფორუმი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ განხორციელდა, ასევე სამეცნიერო ღონისძიებაში იყო მონაწილეთა დაბალი აქტივობა და კონკურენცია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 43,9 %

ქვეპროგრამის - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 62,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 53,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 40 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 13 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა ფარგლებში ბენეფიციარების შერჩევა ხდება კომისიური წესით და კომისიის მიერ შერჩეული იქნა ბენეფიციართა ის რაოდენობა, რომელთა დაფინანსება განხორიელდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,5 %

ქვეპროგრამის - სწავლა საზღვარგარეთ საანგარიშო პერიოდის დაზუტებული გეგმა შეადგენს 1 304,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 202,6 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში 39 სტუდენტს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლა დაუფინანსდა თანხით 731,5 ათასი ლარით და 47 სტუდენტს 1 სემესტრის გაცვლითი პროგრამა საბაკალავრო საფეხურზე თახით 470,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერაზე გაწეულია 1,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,2 %

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 108,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 72,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაიგზავნა 6 სტაჟიორი საზღვარგარეთ თანხით 12,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა 6 უცხოელის სტაჟირება თანხით 35,0 ათასი ლარი.

გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 18,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსებულია სტაჟიორებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება თანხით 2,6 ათასი ლარი.

ევროოდისეას დელეგატებთან, ქვეპროგრამის მონაწილეებთან შეხვედრის ორგანიზებაზე გაწეულია 4,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწველია იმის გამო, რომ ბენეფიციარების შერჩევვა ხდება კომისიური წესით და კომისიის მიერ შერჩეული იქნა ბენეფიციართა ის რაოდენობა, რომელთა დაფინანსება განხორიელდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,5 %

ქვეპროგრამის - პროფესიული განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 83,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 77,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „კვალიფიკაციის ამაღლება - სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“ ფარგლებში დაფინანსდა 9 პროფესიული განათლების მასწავლებლის საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაწეულია ხარჯი 45,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია პროფესიულ განათლებაზე თანხით 32,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,9 %

პროგრამა - საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საპენსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა,მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 814,6 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 492,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საპენსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლები: „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა“, „სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა“ და „სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“ დაფინანსდა 474,4 ათასი ლარით, რაც ძირითადად მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას და მიმდინარე ხარჯებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საშუალოდ 117 აღსაზრდელს გაეწია საპენსიონო მომსახურეობა.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 18,5 ათასი ლარი.

შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე ხარჯების (ოფისის ხარჯების) და სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის შრომის ანაზღაურების აუთვისებლობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 60,5 %

ქვეპროგრამის - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 679,8 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 617,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში „სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის“, „სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის“, „სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა“ და „სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის“ ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე საშუალოდ 96 სსმ მოსწავლეს გაეწია შესაბამისი მომსახურება თანხით 598,7 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 18,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2024 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 943,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 093,7 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კულტურის 13 ღონისძიება, საერთო ღირებულებით 186,9 ათასი ლარი:

თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ხელოვანთა დაჯილდოების მიზნით გამოიყო 11,8 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია ღონისძიებას - „ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ - თანხით 8,0 ათასი ლარი.

ანსამბლ „ქართული ხმების“ კონცერტის - „სიმღერით ვიმოგზაუროთ საქართველოში“ - ორგანიზების მიზნით გაწეულია 9,2 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდული ინიციატივა მშვიდობის მშენებლობისთვის“ გაწეულია - 8,0 ათასი ლარი;

ღონისძიება „სააღდგომო ფესტივალი“ - გაწეულია 7,3 ათასი ლარი.

ბათუმის სკოლა „ევრო - 2000“-ის თეატრალური დასის - „სახილველი“ გასტროლი ქ. თბილისში დაფინსებულია 12,6 ათასი ლარით;

ღონისძიება „ქართულ-პოლონური კულტურის ფესტივალი“ დაფინსებულია 29,2 ათასი ლარით.

„საქართველო-ფიჯის სარაგბო მატჩთან დაკავშირებით კონცერტების ორგანიზება" - დაფინანსებულია 19,9 ათასი ლარით;

„იაპონური კულტურის ფესტივალი“ – 22,0 ათასი ლარი;

ღონისძიების - „ჯადოსნური სიმღერების ამბავი“ - ორგანიზება - 19,5 ათასი ლარი;

ლიტერატურული კონკურსის - „პეგასი“ - ორგანიზება - 8,3 ათასი ლარი;

ღონისძიების - „ანრი ჯოხაძე ბათუმში“ -ორგანიზება 24,0 თასი ლარი;

ინტეგრირებული თეატრის - „აზდაკის ბაღი“ - გასვლითი სპექტაკლის - „Hellados“ - ქ.ბათუმში ჩვენების ორგანიზება - 7,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი, გამოვლინდა 15 გამარჯვებული ფესტივალი, საერთო ღირებულებით 882,9 ათასი ლარი:

„ბიძინა კვერნაძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი 2024“ – 59,7 ათასი ლარი ;

„სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“ – 59,8 ათასი ლარი;

საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ – 40,0 ათასი ლარი;

„გიორგი ცაბაძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ფესტივალი“ – 60,0 ათასი ლარი;

„შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ – 80,0 ათასი ლარი;

„საავტორო მუსიკის რადიოფესტივალი - მუსიკა ბათუმიდან“ – 49,8 ათასი ლარი;

„ქართული მრავალჟანრობრივი მუსიკალური ფესტივალი ჰიტერატურა“ – 58,7 ათასი ლარი;

„ახალი ფესტივალი ფარვანა“ – 28,1 ათასი ლარი;

„ბათუმი არტ ფესტ არგანი“ - 59,0 ათასი ლარი;

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ – 49,6 ათასი ლარი;

„ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ – 80,0 ათასი ლარი;

„საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ – 70,0 ათასი ლარი;

„საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ – 40,0 ათასი ლარი;

„შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის - „ბათუმის რაფსოდია“ - ფარგლებში ვოკალისტთა II საერთაშორისო კონკურსი „ოპერის ოქროს ხმა 2024" – 68,3 ათასი ლარი;

„საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ – 79,9 ათასი ლარი.

გაიცა კულტურის სფეროს მოღვაწეთათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო აჭარის თეატრალური საზოგადოების მიერ გამოვლენილ ნომინაციებში - 5,9 ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 18,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, რომელი პროექტები გამოვლინდება გამარჯვებულად, შესაბამისად ვერ განისაზღვრება ღონისძიებების ჩატარებისა და ანგარიშსწორების განხორციელების ზუსტი პერიოდი. ამდენად, საანგარიშო პერიოდში გათვლილი ფინანსური რესურსის აუთვისებლობა გამოწვეულია პროექტების დასაფინანსებლად ხელოვანთა მიერ განაცხადების წარმოუდგენლობით, ასევე, სატენდერო ეკონომიებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 56,3 %

ქვეპროგრამის - ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 340,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 257,3 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საგრანტო წესით გამოვლენილია 25 პროექტი, საერთო ღირებულებით 247,0 ათასი ლარი.

სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 პროექტი, საერთო ღირებულებით 10,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტებისა და განმცხადებელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების/ღონისძიებების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, დასაფინანსებლად წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა, ღონისძიებების ჩატარებისა და ანგარიშსწორების განხორციელების ზუსტი პერიოდი. ამდენად, საანგარიშო

პერიოდში გათვლილი ფინანსური რესურსის აუთვისებლობა გამოწვეულია პროექტების დასაფინანსებლად ხელოვანთა მიერ განაცხადების წარმოუდგენლობით, ასევე, სატენდერო ეკონომიებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,7 %

პროგრამის - კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 206,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 203,8 ათას ლარს.

პროგრამა ითვალისწინებს მაღალმთიან აჭარაში თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, რის ფარგლებში ხორციელდება სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობის მხარდაჭერა, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში გაწეულია 203,8 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს თეატრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შრომის ანაზღაურების გარდა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

პროგრამის - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 712,4 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 521,1 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიისა და სიმღერის მიმართულებით, გაწეულია ხარჯი 16,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ფარგლებში სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო და კერძო სკოლების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, კულტურის ცენტრებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა, 69 ფოლკლორული ანსამბლი (აქედან 30 ხალხური ცეკვის და 39 ხალხური სიმღერის) და 1 507 შემსრულებელი. გამოვლინდა სულ 17 გამარჯვებული. ოლიმპიადის ორგანიზებისათვის გაწეულია 38,1 ათასი ლარი, 7 ანსამბლზე გაიცა ფულადი ჯილდო თანხით 6,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „სასცენო სამოსით და აქსესუარებით (არანაკლებ 5 ანსამბლისა) და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განხორციელდა სასცენო სამოსის (ღირებულებით 55,2 ათასი ლარი) და მუსიკალური ინსტრუმენტების (ღირებულებით 26,0 ათასი ლარი) შესყიდვა კულტურის ცენტრებისათვის.

ღონისძიების ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ფარგლებში განხორციედა შემდეგი ღონისძიებება, რაზეც საანგარიშო პერიოდში გაწეულია 259,2 ათასი ლარი:

ბასკი მუსიკოსების მიღების ორგანიზება - 4,5 ათასი ლარი;

ყაბალახების შესყიდვა - 17,9 ათასი ლარი;

ხულოს მუნიციპალიტეტის ანსამბლების წევრთა, ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ კრანევოში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე ,,SUNNY OLYMPIA“, ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 14,0 ათასი ლარი;

აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტის მონაწილეთა სასტუმროში დაბინავებით უზრუნველყოფა - 13,8 ათასი ლარი;

ანსამბლ იბერიონის საიუბილეო საღამოს ორგანიზება - 6,7 ათასი ლარი;

ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „არგინეთი“ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ზონგულდაკში ფესტივალში მონაწილეობა - 9,8 ათასი ლარი;

ოლიმპიადის გამარჯვებული ფოლკლორულ ანსამბლ „ჩანგი“-ს ბულგარეთში ფესტივალზე მონაწილეობა - 12,8 ათასი ლარი;

„შუამთობის“ სახალხო დღესასწაულის ორგანიზება - 109, 3 ათასი ლარი;

ფოლკლორული ანსამბლის „სახიობა“ სოლო კონცერტი ბათუმში - 7,8 ათასი ლარი;

სახალხო დღესასწაული შუახევის მუნიციპალიტეტში „შემოდგომა მთაში“ – 38,2 ათასი ლარი;

ოლიმპიადის გამარჯვებული (ა)იპ ქორეოგრაფიული ანსამბლის „მწვერვალი“ ქალაქ თელავში გასტროლი -15,0 ათასი ლარი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N1 საჯარო სკოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოჰოი ნანას“ გასტროლი ახმეტის მუნიციპალიტეტში - 9,4 ათასი ლარი.

გაწეულია პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 19,8 ათასი ლარი.

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფისათვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი, სადაც გაიმარჯვა ი/მ მედეა გოგიბერიძემ (NAT240017916), 2024 წლის 1 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N171 საერთო ღირებულებით 94,8 ათასი ლარი, რომეიც დაფინანსდა საბანკო გარანტიით. სასცენო სამოსის მოწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების დადებიდან 8 კალენდარული თვის მანძილზე.

გაწეულია პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი 5,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწველია იმის გამო, რომ ღონისძიების - ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა - ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონცერტების, გასტროლების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას და რომელიც შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო წლის მანძილზე, რეგიონში მოქმედმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა ვერ წარმოადგინეს საზღვარგარეთ ფესტივალებზე საგასტროლო მიწვევა. ასევე პროგრამის ფარგლებში შექმნილია ტენდერებიდან ეკონომიები.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 73,1 %

პროგრამის - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 577,5 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 285,2 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 13 ღონისძიება თანხით 143,4 ათასი ლარი, კერძოდ,

პროექტი - ა(ა)იპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობა ქორეოგრაფიულ კონკურსში -„რიგის გაზაფხული“ – 36,8 ათასი ლარი;

„საერთაშორისო კონკურს - ფესტივალში „Dubai Grand Festival“ „ბენდი 117“-ის მონაწილეობა - 17,6 ათასი ლარი;

აკვარელის საერთაშორისო სიმპოზიუმში - ,,Urbino In Acquerello'' ქართველი ხელოვანის მონაწილეობა - 1,2 ათასი ლარი;

საფრანგეთში დაგეგმილ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „ანესი“ ფესტივალ „თოფუზის“' საორგანიზაციო ჯგუფის წევრების მონაწილეობა - 4,9 ათასი ლარი;

„ბათუმის ხელოვნების სტუდია „ლიმპოპო“-ს მონაწილეობა ქ. აბანო-ტერმეს (იტალია) საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში“ – 9,9 ათასი ლარი;

„Xenia Book fair“ წიგნის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა - 7,5 ათასი ლარი;

ხელოვანთა მონაწილეობა ლიეტუვაში, საერთაშორისო ფერწერის პლენერში „პანევეჟისი 2024“ და „საერთაშორისო ქანდაკებისა და ფერწერის პლენერში“ – 3,4 ათასი ლარი;

საერთაშორისო ღონისძიებაში Seoul Webfest 10 (სეულის მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი) მონაწილეობა - 5,9 ათასი ლარი;

ქ. ბუდაპეშტის ღვინის ფესტივალში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბენდის Ocean Drive OD მონაწილეობა - 37,1 ათსი ლარი.

ღონისძიებაში - „Mixing and Mastering masterclass (მიქსინგის და მასთერინგის მასტერკლასები) Berlin“- ლაშა კუკულაძის მონაწილეობა - 3,0 ათასი ლარი;

ქ. ბაქოში დაგეგმილ ღონისძიებაში „The Millionaire Concept Gala” მონაწილე პირთა საჰაერო ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა - 3,0 ათასი ლარი;

ქ. რომში თეატრის აკადემიის მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა ხელოვანთა კონკურსში - ირაკლი ჯინჭარაძის საჰაერო ტრანსპორტირებით და სასტუმროში განთავსებით უზრუნველყოფა - 4,8 ათასი ლარი;

გამოცხადდა „პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საგრანტო კონკურსი“ კლასიკური მუსიკის მიმართულებით ვოკალისტებისა და ინსტრუმენტალისტებისათვის (ფორტეპიანო, ჩასაბერი, სიმებიანი, დასარტყამი და სხვა), ბიუჯეტით 200,0 ათასი ლარი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 1-მა განმცხადებელმა, შესაბამისად

დაფინანსდა მხოლოდ 1 პროექტი: საოპერო მომღერლის ირაკლი გურგენიძის საერთაშორისო მოსმენაში მონაწილეობის ხელშეწყობა - 8,3 ათასი ლარი.

განხორციელდა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი ფრიდონ ხალვაშის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად, გამოვლინდა 4 გამარჯვებული, რომლებმაც 7 თვის განმავლობაში (2024 წლის ივნისის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით) მიიღეს სტიპენდია, თითოეული 625 ლარის ოდენობით, სულ 17,5 ათასი ლარი.

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა „მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი“, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 6 პროექტი, საერთო ღირებულებით 120,0 ათასი ლარი:

პროექტი - „დედა“ – 20,0 ათასი ლარი;

პროექტი - „უორდროპები მარჯორი და ოლივერი სიყვარულით ინგლისიდან“ – 20,0 ათასი ლარი;

პროექტი - „ბრძოლა - ბერი გაბრიელი“ – 20,0 ათასი ლარი;

პროექტი - „ამბები ბათუმის ისტორიიდან“ - 20 ,0 ათასი ლარი;

პროექტი - „არტისტი“ – 20,0 ათასი ლარი;

პროექტი - „პილიგრიმი“ – 20,0 ათასი ლარი.

პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა ბლოკნოტებისა და კალენდრების ბეჭდვა - 4,3 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტებისა და განმცხადებელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების/ღონისძიებების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, დასაფინანსებლად წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა, ღონისძიებების ჩატარებისა და ანგარიშსწორების განხორციელების ზუსტი პერიოდი. ამდენად, საანგარიშო პერიოდში გათვლილი ფინანსური რესურსის აუთვისებლობა გამოწვეულია პროექტების დასაფინანსებლად ხელოვანთა მიერ განაცხადების წარმოუდგენლობით, ასევე, სატენდერო ეკონომიებით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 49,4 %

პროგრამის - კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 356,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ გაწეულა.

პროგრამა ითვალისწინებს კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კერძოდ, სახელოვნებო სკოლის მშენებლობას (სანებართვო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაოები, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა), ერთი კულტურის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, ერთი კულტურის დაწესებულების სარეპეტიციო სივრცის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას და მშენებლობას და კულტურის დაწესებულებებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენას.

საანგარიშო პერიოში სახელოვნებო სკოლის მშენებლობის პროექტი შეთანხმდა, თუმცა ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ვეღარ მოესწრო, რადგან გარდა ნებართვისა, პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე საჭიროა ბევრი სხვადასხვა საკითხის დაზუსტება.

გამოცხადდა ტენდერი ანსამბლ „არსიანის“ შენობის რეაბილიტაციაზე, ხელშეკრულება დადებულია მშენებელი კომპანია შპს „მშენებელი 2016“-თან, რომელმაც საავანსო ანგარიშსწორება არ მოითხოვა, შესაბამისად თანხის გადარიცხვა განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2024 წელს ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, კულტურული მემკვიდრეობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5 621,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 174,9 ათას ლარს.

ღონისძიებების - არქეოლოგიური კვლევა ძიება აჭარაში - ფარგლებში დასრულდა გონიოს, პეტრას, ფიჭვნარის, ოთოლთასა და მახუნცეთის არქეოლოგიური ექსპედიციები, გაწეულია ხარჯი 191,8 ათასი ლარი.

საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ექვსი ღონისძიება: ახალგაზრდული ფორუმი, ძეგლების საერთაშორისო დღის და მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ლიმეს კონგრესის ორგანიზება, ოქროს თვალის მხარდაჭერა, წლის შემაჯამებელი ღონისძიება. მომზადდა საინფორმაციო რგოლი, გაწეულია ხარჯი 368,2 ათასი ლარი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა ღონისძიების ფარგლებში მომზადდა ლაო ჯინჯაოს სახლის, გვარას ციხისა და ქ. ბათუმში დ. კლდიაშვილის ქ. N27/პ.მელიქიშვილის ქ. N21, ა. მელაშვილის ქ. N5, მ. კოსტავას ქ. N32, ფარნავაზ მეფის ქ. N51 და ჭავჭავაძის ქუჩა №19-ში მდებარე ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია მდებარე ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, საანგარიშო პერიოდში გაწეულია 262,4 ათასი ლარი.

აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა: ქ.ბათუმში კ.გამსახურდიას ქ.N9-ში, მაქაცარიას ქ.N1, წერეთლის ქ.N1, კოსტავას ქ. N34/გამსახურდიას ქ.N19-ში და მელაშვილის ქ.N7 მდებარე ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს: ხინოს მამათა მონასტერის რეაბილიტაცია, ქ. ბათუმის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია, ზვარესა და ძენწმანის მეჩეთების რეაბილიტაცია, ლაო ჯინჯაოს სახლის რეაბილიტაცია, დასრულდა ქ.ბათუმში ლ.

ასათიანის ქ. N7, მ.აბაშიძის ქ. N43 და ხ.ახვლედიანი ქ. N15 მდებარე ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულდა ქ. ბათუმში, დ. კლდიაშვილის ქ.#27/პ.მელიქიშვილის ქ. N21 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარებიალიტაციო სამუშაოები. გაწეულია ხარჯი 1 706,7 ათასი ლარი.

დასრულდა გონიოსა და პეტრას ციხის ტერიტორიაზე არსებული სამუზეუმო სივრცეების განახლება, მიმდინარეობს პეტრას ციხის ტერიტორიაზე დამატებით ახალი სამუზემო სივრცის მოწყობის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 597,5 ათასი ლარი.

მემკვიდრეობის შესახებ საინფორმაციო მასალების ბეჭდვა ღონისძიების ფარგლებში გამოიცა წიგნები: „რომაული საზღვარი საქართველოში“, „ლიმეს კონგრესის ისტორიის შესახებ“, „კაცი, რომელიც შვენოდა კაცთა კაცობას“ და „აჭარის არქეოლოგიური ძეგლები“. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 48,3 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორი თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ლ. ასათიანის ქ. N20) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი სამჯერ არ შედგა, შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა სამუშაოების დაწყება. ასევე (ქ. ბათუმში ლ. ასათიანის ქ. N7, მ.აბაშიძის ქ. N43 და ხ.ახვლედიანი ქ. N15) სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შედეგად წარმოშობილია სახელშეკრულებო ეკონომია.

პეტრას ციხის ტერიტორიაზე 3 არქეოლოგიური უბნის საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ სააგენტომ დაგეგმა მეოთხე - საინჟინრო უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. თუმცა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ახალი ნაგებობის ნაშთები, რის გამოც აუცილებელი გახდა პროექტის კორექტირება. შესაბამისად გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი სააგენტომ შეწყვიტა და დაიწყო მუშაობა საპროექტო დოკუმენტაციაზე.

ხინოს ეკლესიის რეაბილიტაცია უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წელს, მაგრამ კლიმატური პირობების გამო სამუშაოების ტემპი ნელა მიმდინარეობს, რის გამოც სამუშაოები დასრულება 2025 წელს.

ზვარესა და ძენწმანის მეჩეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი იყო 2024 წელს. გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა. დარჩენილ დროში სამუშაოების სრულად განხორციელება შეუძლებელი იყო. ამიტომ განმეორებით გამოცხადდა მრავალწლიანი ელ. ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება. შესაბამისად სამუშაოების განხორციელება მოხდება მომდევნო წელს.

ლაო ჯინჯაოს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და ამავდროულად სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი იყო 2024 წელს. ლაო ჯინჯაოს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე პროექტი წარმოდგენილი იქნა მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით, რის გამოც სარეაბილიტაციო

სამუშაოები დაიწყო დაგეგმილზე გვიან და შეუძლებელი გახდა 2024 წელს მისი დასრულება. ამიტომ გამოცხადდა მრავალწლიანი ელ. ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება. შესაბამისად სამუშაოების განხორციელება მოხდება მომდევნო წელს.

ქ. ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება დაგეგმილი იყო 2024 წელს. სანებართვო პროცედურებსა და ნებართვის მიღებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. შესაბამისად სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდებოდა წლის ბოლომდე. ამიტომ გამოცხადდა მრავალწლიანი ელ. ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება. შესაბამისად სამუშაოების განხორციელება მოხდება მომდევნო წელს,

შექმნილია სატენდერო ეკონომია ჩატარებული ზოგიერთი ღონისძიების შესყიდვის შედეგად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 56,5 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით სპორტის დეპარტამენტი 2024 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, სპორტის სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროგრამას - სპორტის ხელშეწყობა.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ექვსი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 552,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 304,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო თასი ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში ჩატარდა „WTT Youth Contender Batumi 2024“, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, პირველობებზე, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე აჭარის ნაკრების წევრებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოიპოვეს ჩემპიონობა და პრიზიორობა, გამოიცა წიგნი „აჭარის ფოტოისტორია“ და ჩატარდა სპორტული თემატიკის ფორუმი „სპორტული წარმატების სტრატეგია“, საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი 36 ფედერაციის 518 ღონისძიება. სულ გაწეული იქნა ხარჯი 4 304,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,5 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი

ჯილდოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 985,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 630,2 ათას ლარს.

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 508 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თანხით 630,2 ათასი ლარი.

ვინაიდან ჯილდო გაიცემა სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების შესაბამისად, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია თანხების ნაწილობრივ აუთვისებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 64,0 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 101,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 060,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

წლის განმავლობაში ჩატარდა 81 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ინდორ ჰოკეის, თავისუფალ ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, მშვილდოსნობის, რაგბის, ძიუდოსა და ძალოსნობის სახეობებში. ღონისძიებების პროცესში მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზაციებისათვის საჭირო დარბაზის იჯარით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტის დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 12 კოორდინატორი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3 %

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 235,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 226,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ყოველთვიური 235 ლარიანი დახმარება გაეწია 70 ბენეფიციარს (203,0 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 28 ბენეფიციარს - სულ თანხით 16,0 ათასი ლარი, ასევე გაცემული იქნა ერთჯერადი დახმარება სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა ოჯახებზე მათი გარდაცვალების გამო (7 ბენეფიციარი) თანხით 7,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,9 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთნელთა სტიპენდია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 300,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 242,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციების სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის 142 წარმატებულ სპორტსმენზე და მათ პირად მწვრთნელზე გაწეული იქნა მატერიალური წახალისება (სტიპენდია) 242,7 ათასი ლარი.

ვინაიდან სტიპენდია გაიცემა სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების შესაბამისად, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია თანხების ნაწილობრივ აუთვისებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,9 %

ქვეპროგრამის - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 934,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 882,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირებში, ფესტივალებში, ჩემპიონატებში, პირველობებში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სპორტსმენთა და მოყვარულთა მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი 8 სპორტული ფედერაციის 72 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 882,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,5 %

სსიპ „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრი“ 2024 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, აქედან „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის“ პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ერთ პროგრამას.

პროგრამის - ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 093,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 753,7 ათას ლარს.

ღონისძიება „გახდი ლიდერი“ განხორციელდა ორ ნაკადად, ბაღდათის მუნიციპალიტეტ კურორტ საირმეში, 9 მაისიდან 21 მაისის ჩათვლით. ჩართული იყო ჯამში 50 ახალგაზრდა. ორივე ნაკადში, ლიდერული უნარ-ჩვევების სწავლების მიზნით, სატრენინგო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ეფექტური კომუნიკაცია, საჯარო გამოსვლების ტექნიკა, ეტიკეტი, პროტოკოლი, პროექტის წერა, პრეზენტაბელურობა და რისკების მართვა, საკასო ხარჯმა შეადგიან 70,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „ლაშქრობა“ ფარგლებში განხორციელდა ლაშქრობის ტური ხვამლის, მტირალას, ლაგოდეხის და კოლხეთის დაცული ტერიტორიის მიმართულებით, ჯამში ჩაერთო 75 ახალგაზრდა. ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა სალაშქრო ეკიპირება, საკასო ხარჯმა შეადგიან 62,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „შემეცნებითი ტურები“ ფარგლებში განხორციელდა 14 შემეცნებითი ტური შემდეგი მიმართულებებით: სვანეთი 4 ტური, ყაზბეგი 2 ტური, იმერეთ-სამეგრელო 3 ტური, კახეთი 2 ტური, რაჭა-ლეჩხუმი 2 ტური და სამცხე-ჯავახეთი 1 ტური, პროექტში ჩართული იყო 225 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგიანა 209,8 ათასი ლარი. ასევე ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი იყო სტამბოლის ტური. წინამოსამზადებელი სამუშაოების დროს, ბენეფიციართა მობილიზების ეტაპზე, უმაღლეს სასწავლებლებთან ორმხრივი კომუნიკაციის ფარგლებში დადგინდა, რომ ვინაიდან სტამბოლის შემეცნებითი ტურის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 6 დღით და იმ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებლებში განახლებული იყო სასწავლო პროცესი, დაფიქსირდა სტუდენტების დაბალი მომართვიანობა და შესაბამისად ცენტრის მიერ დამატებითი ვადების არარსებობის გამო შეუძლებელი გახდა განაცხადების მიღების გაგრძელება, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ტური არ განხორციელდა, საიდანაც წარმოიქმნა ეკონომია.

ღონისძიება „ეკო ბანაკი“ გულისხმობს ახალგაზრდების ჩართვას საბანაკე ტიპის აქტივობებში, რომლის ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ეკოლოგიის აქტუალური საკითხების შესახებ. ღონისძიება განხორციელდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, პროექტის ფარგლებში მონაწილეობდა 20 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგიან 39,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის რეგიონალური ლიგა“ ფარგლები ხულოს მუნიციპალიტეტში გაიმართა ლიგის მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის გუნდებმა. პირველი ადგილი მოიპოვა ხულოს მუნიციპალიტეტის გუნდმა „იანგმუხი“. ღონისძიებაში ჩართული იყო ჯამში 1 200-მდე ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 60,0 ათასი ლარი.

ღონისძიებაი „მთის ფესტივალი“ განხორციელდა ივლისის თვეში აჭარის სამ მაღალმთიან (ხულოს, ქედისა და შუახევის) მუნიციპალიტეტში. ჯამში ჩართული იყო 1500-მდე ახალგაზრდა. ღონისძიებას ჰქონდა ფესტივალის სახე, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებისთვის დაიგეგმა გასართობ-შემეცნებითი აქტივობები და მუსიკალური პროგრამა ადგილობრივი მუსიკოსების მონაწილეობით, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 71,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“ ფარგლებში 12 აგვისტოს ჩატარდა ახალგაზრდული კონგრესი, რომელშიც ჩართული იყო 150 ახალგაზრდა, ხოლო 31 აგვისტოს რვაფეხას მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი, სადაც მოეწყო გასართობ-შემეცნებითი აქტივობები, გათამაშებები, ჩართული იყო 5 000-მდე ახალგაზრდა. ღონისძიების ფარგლებში გაწეული ხარჯი შეადგენს 154,2 ათას ლარს.

ღონისძიება „პეინტბოლი“ განხორციელდა 16-24 სექტემბერს. პირველ ეტაპზე ჩატარდა მუნიციპალური შესარჩევი თამაშები, ხოლო მეორე ეტაპზე ქალაქ ბათუმში გაიმართა ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო (280 ახალგაზრდა) აჭარის ექვსი მუნიციპალიტეტის გუნდებმა. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ 1000, 500, 300 ლარიანი ვაუჩერები, თასები, მედლები და სიგელები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 34,5 ათასი ლარი.

ღონისძიება „სტუდენტური ფესტივალი“ უნდა ჩატარებულიყო 15 დეკემბრამდე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, კერძოდ, ქალაქ ბათუმში, ევროპის მოედანზე, სადაც მიმდინარე პერიოდისთვის შეზღუდული იყო გადაადგილება, აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ N 55 ხელშეკრულებაში ვერ მოხერხდა ადგილისა და დროის ცვლილება, მხარეების შეთანხმების საფუძველზე ღონისძიება „სტუდენტური ფესტივალი“ არ ჩატარდა.

ღონისძიება „საერთაშორისო ტექნოლოგიური სკოლა“ გულისხმობდა თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ბანაკის ორგანიზებას, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ახალგაზრდები. ვინაიდან, აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებდა როგორც ქართველი ასევე უცხოელი ახალგაზრდების ჩართვას, ცენტრის მიერ განხორციელდა ევროპის რამდენიმე ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და ახალგაზრდებისთვის მოწვევის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა დაგვიანებული პასუხების გამო, ვერ მოხდა საკმარისი რაოდენობის ახალგაზრდების მობილიზება, აქედან გამომდინარე ღონისძიება არ შედგა.

ღონისძიება „ჯანსაღი ცხოვრების ბანაკი“ უნდა ჩატარებულიყო 2024 წლის 4 -7 და 7-10 დეკემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. საკონკურსო კომისიის მიერ შემოსული განცხადების განხილვის შემდეგ ვერ მოხერხდა შესაბამისი რაოდენობის ბენეფიციარების შერჩევა, ჯამში 30 ახალგაზრდა, ვინაიდან ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილმა სამოტივაციო წერილებმა ვერ მოიპოვეს უმაღლესი შეფასებები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელდა.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 51,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,0 %

ქვეპროგრამის - ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 662,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 518,3 ათას ლარს.

ღონისძიება „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა“ მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. წლის განმავლობაში დაფინანსდა 52 ბენეფიციარი და გაემგზავრნენ შემდეგი მიმართულებებით: აშშ, ინგლისი, არგენტინა, ბელგია, ესტონეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, აზერბაიჯანი,

ნორვეგია, პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია, ლიეტუვა, იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, საკასო ხარჯმა შეადგინა 79,6 ათასი ლარი.

ღონისძიება „მუნიციპალური ფორუმი“ განხორციელდა 24-28 მაისს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში. ჩაერთო 42 ახალგაზრდა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტიდან. ამასთანავე, ქედის მუნიციპალიტეტის პროექტის გამარჯვებულ გუნდს ორგანიზაციამ შეუსყიდა პროგრამა, რომელიც დაეხმარება დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უკეთ შეისწავლონ ფიზიკა ვირტუალური ექსპერიმენტების მეშვეობით. სატრენინგო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: პროექტის წერა, პროექტის მართვა, ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტაბელურობა, საკასო ხარჯმა შეადგინა 44,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „YRC- კლუბი“ განხორციელება დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში. ივნისის თვეში, მოხალისეთათვის მოეწყო გასვლითი ბანაკი კოლხეთის დაცულ ტერიტორიაზე, რომელშიც ჩართული იყო 30 ახალგაზრდა, ბანაკის ფარგლებში მოწვეულმა ტრენერმა ჩაატარა სატრენინგო კურსი მოხალისეობის შესახებ. აგრეთვე მომწოდებლის მიერ შესყიდული იქნა სამაგიდო თამაშები, დინამიკი, საკანცელარიო და სპორტული ინვენტარი, ივლისი-სექტემბრის თვეში განხორციელდა ვიზიტი მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე, რომელშიც ჩართული იყო 60 ახალგაზრდა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობა დენდროლოგიურ პარკში, ჩართული იყო 60 ახალგაზრდა. კლუბის ფარგლებში შეძენილი იქნა მოძრავი ბიბლიოთეკისთვის 300 ცალი წიგნი და ეკიპირება. დეკემბრის თვეში განხორციელდა ბათუმის, ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, ინკლუზიურ ცენტრებში ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ცენტრებს გადაეცათ საახალწლო დეკორაციები, განმავითარებელი და საჭიროებებზე მორგებული ნივთები. ჯამში ჩართული იყო 100-მდე ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 72,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „რა? სად? როდის?“ განხორციელება დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აჭარის შიდა მუნიციპალური ჩემპიონატები ექვს მუნიციპალიტეტში, ასევე განხორციელდა სტუდენტური და სასკოლო რეგულარული ჩემპიონატის ხუთი ტური და სტუდენტური ჩემპიონატი, აჭარის მუნიციპალური ჩემპიონატის ფინალი, საგაზაფხულო და საზაფხულო ჩემპიონატები. ჯამში ჩართული იყო 399 გუნდი (3 498 ახალგაზრდა). შესყიდული იქნა გამარჯვებული გუნდებისთვის პრიზები: წიგნები, წიგნების მაღაზია „ბიბლუსის“ ვაუჩერები და წიგნის ელექტრონული წამკითხველები. საკასო ხარჯმა შეადგიან 59,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „დებატ კლუბი“ ფარგლებში ახალგაზრდებმა არაფორმალურ გარემოში შეისწავლეს დებატების ტექნიკა და სპეციფიკა. ჩატარდა მასტერკლასები დებატებსა და საჯარო გამოსვლის ხელოვნებაში. მოწვეული იყო სერტიფიცირებული ტრენერი, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25 ახალგაზრდამ აჭარის ექვსი მუნიციპალიტეტიდან. საკასო ხარჯმა შეადგინა 30,1 ათასი ლარი.

ღონისძიება „ტყის თამაში“ წარმოადგენს განძის ძიების პრინციპზე დაფუძვნებულ ინტელექტუალური და ფიზიკური დატვირთვის თამაშს, ღონისძიებაში ჩართული იყო 90 ახალგაზრდა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები და გუნდებს გადაეცათ 3000, 2000 და 1500 ლარიანი ვაუჩერები. საკასო ხარჯმა შეადგიან 53,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „ფოტოგრაფიის ბანაკი“ ფარგლებში მოეწყო გასვლითი ბანაკი სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, რომელიც მიმდინარეობდა 8 დღის განმავლობაში და ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. მოწვეულმა ტრენერმა ჩაატარა მრავალფეროვანი მასტერ-კლასები ფოტოხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით. საკასო ხარჯმა შეადგინა 39,7 ათასი ლარი.

ღონისძიება „ისტორიის კვალდაკვალ“ განხორციელდა აგვისტოს თვეში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე, მასში ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 33,9 ათასი ლარი.

ღონისძიება „ლიტერატურული ჰაბი“ განხორციელდა 3 ეტაპად, პირველ ეტაპზე მოეწყო ლიტერატურული ბანაკი, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სადაც ახალგაზრდებმა შეისწავლეს ლიტერატურული ნაწარმოებების წერის ტექნიკა, მეორე ეტაპზე მოხდა ახალგაზრდების ნაშრომების მიხედვით წიგნების ბეჭდვა, ხოლო მესამე ეტაპზე ჩატარდა წიგნის პრეზენტაცია. ღონისძიებაში ჩართული იყო 30 ახალგაზრდა, საკასო ხარჯმა შეადგინა 54,5 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 49,8 ათასი ლარი.

ღონისძიება „საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი“ ითვალისწინებდა ქართველი ახალგაზრდებთან ერთად უცხოელი ახალგაზრდების ჩართვას კონფერენციაში. ცენტრის მიერ მიწერილი იქნა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ წერილი და იქედან გამომდინარე, რომ მათგან უკუკავშირი მიიღეს ნოემბრის თვეში, წერილის თანახმად მოხდა სატენდერო წინადადების შემუშავება და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, რომელიც ვერ შედგა, ვინაიდან ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება და ღონისძიების ჩატარება ვეღარ მოესწრებოდა, აღნიშნული ღონისძიება ვერ განხორციელდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 78,2 %

ქვეპროგრამის - კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 308,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი საკასო ხარჯი 136,4 ათას ლარს.

ღონისძიების „კარიერული განვითარების მხარდაჭერა“ ფარგლებში აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებად კერძო კომპანიებში ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 26 ახალგაზრდამ სხვადასხვა მიმართულებებით: იურიდიული, მენეჯმენტი, სოციალური მედია მარკეტინგი, საგანმანათლებლო რესურსების მართვა, ღონისძიება მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში, საკასო ხარჯმა შეადგინა 29,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში სასერტიფიკატო კურსების დაფინანსებით ისარგებლა 61 ბენეფიციარმა. სასწავლო კურსების თემატიკა იყო შემდეგი: ციფრული მედია-მარკეტინგი, ფსიქოლოგია, გრაფიკული დიზაინი და სხვა. ღონისძიება მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში, საკასო ხარჯმა შეადგიან 39,5 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდული კონფერენცია“ განხორციელდა ივნისის თვეში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში, კონფერენცია მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ხელოვნური ინტელექტის განვითარების ფაზები, თანამედრობე ტექნოლოგიების განვითარება და პერსონალური მონაცემთა დაცვის გამოწვევები, ციფრული ტექნოლოგიების როლი განათლებასა და ბიზნესში, ჩაერთო 150 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 24,9 ათასი ლარი.

ღონისძიების „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომართვიანობისა და კონკურენციის გათვალისწინებით, გამარჯვებულად გამოვლინდა 6 პროექტი, ბენეფიციარებთან გაფორმდა ხელშეკრულება. ღონისძიება მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში, საკასო ხარჯმა შეადგინა 17,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „ექსპო YRC“ ფარგლებში გამოცხადებული იყო ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა, სატენდერო დოკუმენტაციაში მოხდა ცვლილებების შეტანა, რის გამოც საჭირო გახდა განახლებული ბაზრის კვლევა, ვინაიდან კომპანიების მხრიდან ვერ მოხერხდა დოკუმენტაციის დროულად მოწოდება, ღონისძება ვერ შედგა საანგარიშგებო პერიოდში.

ღონისძიება „ახალგაზრდა სტარტაპერების მხარდაჭერა“ ითვალისწინებდა ადგილობრივი ახალგაზრდული ეკონომიკის სტიმულირებისთვის მეწარმეებისა და სტარტაპერების ხელშეწყობას, პირველ ეტაპზე მოხდა შემოსული 19 აპლიკაციის შერჩევა-შეფასება, მათი მხრიდან პრეზენტაციის სახით წარმოდგენილ იქნა პროექტის განხორციელების ეტაპობრივი გეგმა და ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი, ხოლო მეორე ეტაპზე მოხდა გასაუბრება შერჩეულ აპლიკანტებთან. გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო განაცხადები ვერ აკმაყოფილებდა კონკრეტულ კრიტერიუმებს, გასაუბრების შედეგად ვერც ერთმა აპლიკანტმა ვერ გადალახა წინასწარ დადგენილი ბარიერი და ვერ მოიპოვა დაფინანსება.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 25,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 44,3 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2024 წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 490,0 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 479,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ხელშეკრულებით აყვანილია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ხარჯი გაწეულია 455,3 ათასი ლარი.

შესყიდულია 9 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის კომპლექტი, 1 ერთეული სკანერის და 20 ერთეული უწყვეტი კვების წყარო თანხით 23,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2024 წელს ახორციელებს 8 პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ცხრა ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 297,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 8 294,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 5 569 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 413, ხოლო 2 156 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 984,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 977,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 178 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 134, ხოლო 44 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,3 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 085,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 084,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 327 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 6 850, ხოლო 2 477 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 040,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 035,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება (თანადაფინანსება), თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 147 ბენეფიციარი, აქედან ანაზღაურებულია 119 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები, ხოლო 28 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 422,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 420,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 507 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 289. ხოლო 1218 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 000,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 999,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 640 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 517, ხოლო 1 123 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 390,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 389,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 6 403, ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 5 888, ხოლო 515 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 271,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 270,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 956 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 808. ხოლო 148 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 125,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 119,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 223 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 157, ხოლო 66 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 843,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 839,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების მერიების მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი სიების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია სულ 43 ექიმი და 46 ექთანი, ხოლო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 64 ექიმი და 63 ექთანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

ქვეპროგრამის - ჟანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 198,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 198,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემას შემდგომში მათ მიერ ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. სამინისტროს მიერ 224 ცალი ჟანგბადის კონცენტრატორის შესყიდვისათვის გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი NAT230024610 2023 წლის 1 დეკემბერს, გამარჯვებული კომპანიის მიერ შ.პ.ს „ჯეოორთო“ 2024 წლის საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 224 კონცენტრატორი, რისთვისაც გადახდილია 198,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 422,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 415,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 081 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 888 ვაუჩერი, ხოლო 193 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 446,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 431,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 627 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 8 458, ხოლო 1 169 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

ქვეპროგრამის - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 375,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 372,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 540 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 456 ვაუჩერი, ხოლო 84 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 882,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 877,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 10 649 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 10 594, ხოლო 55 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 6,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 13 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 13 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 64,5 %

პროგრამა - მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს შვიდ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 51,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 49,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 47 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0-1,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,1 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 127,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 126,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 55 ახალშობილი ტყუპის ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 10 372,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 10 239,0 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 890 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 7 099,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 890 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები 6 990,9 ათასი ლარი, ხოლო 2 046 ოჯახზე მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი 2 671,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2 045 ოჯახი - 2 671,1 ათასი ლარი, ასევე 145 ბენეფიცირის სხვადასხვა მომსახურებაზე გამოყოფილი 601,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 145 ბენეფიციარი - 577,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 515,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 510,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული და შშმ მეომრის ოჯახს (38 დედასა და მეუღლეს) ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 5,0 ათასი ლარი.

ომში დაღუპული და შშმ 32 მეომრის ოჯახს აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

ქვეპროგრამის - მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 114,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 114,4 ათას ლარს.

მატერიალური დახმარება გაეწია 21 მზრუნველობამოკლებულ პირს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 26,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 26,0 ათას ლარს.

ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობლებსა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა) 13 მოქალაქეს ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცა თითოეულს 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 857,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 849,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარების გაწევას. საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1 336 ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,1 %

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 261,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 259,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 315 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 293 ვაუჩერი, რის საფუძველზეც გაიცა 342 აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 503,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 494,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 486 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 461.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 610,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 609,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 691 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 664.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

პროგრამის - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 083,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 083,0 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 82 ბენეფიციარს. 1 083,0 ათასი ლარით დაფინანსდა ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, განხორციელდა რეაბილიტაცია მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, მედიკამენტოზური მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 443,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 442,5 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართულია 66 ბენეფიციარი. 442,5 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა პრობლემების მქონე, მათ შორის მარტოხელა, მიუსაფარი და ძალადობაგანცდილი დედების და ბავშვების, თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება და სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 079,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 079,4 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 107 ბენეფიციარს. 2 079,4 ათასი ლარით დაფინანსდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისის 24 ბენეფიციარის თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემოს, სხვადასხვა აქტივობის და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 7 129,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7 125,4 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 139 საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 6 931,4 ათასი ლარი, სახლების ექსპერტიზისათვის გადახდილია 151,0 ათასი ლარი, ხოლო სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 43,0 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 012,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 928,5 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა:

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 1 704 ბავშვს, მათ შორის: ბათუმი - 1 200, ქობულეთი - 176, ხელვაჩაური - 200, ქედა - 34, შუახევი - 35, ხულო - 59. საჭიროების მიხედვით რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა 461 ბენეფიციარს და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდა 440 ბენეფიციარს.

ბ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში:
საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა ანტენატალურ კომპონენტში ჩართული 3 223 ორსული, თითოეულ მათგანს ჩაუტარდა ფარისებრი ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, განესაზღვრა ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, თირეოტროპული ჰორმონის დონე. ბათუმის მუნიციპალიტეტი - 3 157 ორსული, ქობულეთი - 66 ორსული.

გ) სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა:
საანგარიშო პერიოდში შუა ყურის გამოკვლევა ანუ სმენის მეორეული სკრინინგი ჩაუტარდა 30 ბენეფიციარს, (ქობულეთი - 21, ხელვაჩაური - 2, ქედა - 2, შუახევი - 2, ხულო - 3), მათ შორის ტვინის ღეროს სმენის მარტივი ტესტი ჩაუტარდა 3-ს, ტიმპანომეტრია - 30 (შუა ყურის ინტაქტურობის დადგენა ტიმპანომეტრული გამოკვლევით), კომპიუტერული აუდიომეტრია -2;

დ) ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:

ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მართვის დაგეგმვის მიზნით ღონისძიებით ისარგებლა 350 ბენეფიციარმა, მ.შ: ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 350-ს, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 350-ს, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 350-ს, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა - 115-ს. ბათუმი - 185, ქობულეთი - 51, ხელვაჩაური - 70, ქედა-20, შუახევი - 16, ხულო -8;

ე) აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
აუტიზმის სკრინინგით ისარგებლა 387 ბენეფიციარმა, მ.შ. ბათუმი - 274, ქობულეთი - 58, ხელვაჩაური - 26, ქედა - 9, შუახევი - 7, ხულო - 13. ADOS ტესტი მათგან ჩაუტარდა - 307 ბენეფიციარს; ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 372 ბენეფიციარს.

ვ) C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა: საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 11 428 ბენეფიციარს, C ჰეპატიტზე დადებითი - 59, აივ ინფექციაზე დადებითი - 3;

ზ) მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით ისარგებლა 1 104-მა ორსულმა, მ.შ. ბათუმი - 665, ქობულეთი - 121, ხელვაჩაური - 171, შუახევი - 34, ქედა - 53, ხულო - 60. ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა - 6 488;

თ) ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი: 2 000 ახალშობილს ჩაუტარდა პირველადი სკრინინგული კვლევა და 14 საეჭვო შემთხვევის კონფირმაციული კვლევა;

ი) სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - 995 ბავშვს ჩაუტარდა კარდიული სკრინინგი, მ.შ. ბათუმი - 856, ქობულეთი - 19, ხელვაჩაური - 113, ქედა - 2, შუახევი - 1, ხულო - 4. გამოვლენილი პათოლოგია - 30;

კ) აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა: ჩატარებულია 18 ვიზიტი (ქედა - 4, შუახევი - 6, ხულო - 8) და გამოკვლეულია 722 ბენეფიციარი (ქედა - 182, შუახევი - 215, ხულო - 325).

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,7 %

დასაქმების ხელშეწყობის მხრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს ცხრა ქვეპროგრამას, აქედან „დასაქმების ხელშეწყობის მართვის“ ქვეპროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 8 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 98,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 98,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადებას საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში, იმ უნარების განვითარების მიზნით რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზღვაო სფეროში (საკრუიზო ლაინერებზე) დასაქმების ხელშეწყობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შეირჩა 30 მოსარგებლე, რომლებმაც გაიარეს სწავლება საკრუიზო ლაინერზე მიმტანის და საკრუზიო ლაინერზე ბართენდერის პროფესიულ მიმართულებებში, მათგან 21-მა დაასრულა სრული სასწავლო კურსი, ხოლო 9 გაირიცხა სწავლის პროცესში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 122,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 122,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი კონსულტანტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 1 400 სამუშაოს მაძიებლის, 203 ორგანიზაციისა და 853 ვაკანსიის რეგისტრირება; მოხდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 385 ბენეფიციარის დასაქმება. სააგენტოს მიერ შემუშავებული კითხვარის მიხედვით აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ოპერირებადი ორგანიზაციის გამოკითხვა - სულ 24 კითხვარი.

დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში ჩატარდა მასშტაბური დასაქმების ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყო 67 კომპანია, 270 აქტიური ვაკანსიითა და 2 670 სამუშაო ადგილით შემდეგი საქმიანობის სფეროებიდან - კვებისა და განთავსების ობიექტები, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და დისტრიბუცია, მშენებლობა, ფინანსები და დაზღვევა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება. ასევე 12 სამუშაო შეხვედრა რეგიონში მოქმედ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების მოკვლევის მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდა მარკეტინგული და ბრენდირებული მასალა და განხორციელდა სარეკლამო აქტივობები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 42,0 თას ლარს, საკასო ხარჯი 42,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და უნარების გაძლიერება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კომპანიების რეგისტრაცია და რეგიონალური ბაზრის საჭიროებების მოკვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოსარგებლეთა ინტერვიურება და ჯგუფების დაკომპლექტება, ტრენინგების ორგანიზება ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ოპერირებად კვებისა და განთავსების ობიექტებში დასაქმებული პერსონალისთვის. განხორციელდა მასტერკლასის ორგანიზება შემდეგ მიმართულებებში - თანამედროვე მიდგომები კულინარიაში და წარმოება მცირე მარნებში. სულ ქვეპროგრამაში ჩაერთო და მომსახურება მიიღო 60-მა მოსარგებლემ, გადაეცათ სერთიფიკატები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 29,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 29,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი შშმ პირთა მობილიზება და ინდივიდუალური შეფასება, შეფასების საფუძველზე კარიერული განვითარების გეგმის შედგენა; კომპანიების საჭიროებებისა და მოთხოვნების მოკვლევა; 10 ბენეფიციარმა გაიარა სწავლება შემდეგ პროფესიებში: კონდიტერი, დასუფთავების სპეციალისტი, მზარეული, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი. კურსდამთავრებულთაგან 4 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 210,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 210,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი საქმიანობა:

პროფესიული მომზადების 50 მოსარგებლე გადიოდა სწავლებას შემდეგ პროფესიებში: ბართენდერი, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სასტუმროს მომსახურება, ელექტროობა, შედუღება, მსუბუქი მანქანების ელექტროშეკეთება, შენობა ნაგებობის ტექნიკოსი (ჰაუსმასტერი); მათგან 49-მ დაასრულა სრული სასწავლო კურსი, ხოლო 1 გაირიცხა სწავლის პროცესში.

სამუშაო გამოცდილების მქონე 20-მა მოსარგებლემ გაიარა გადამზადების კურსი ელექტროობის, შედუღების, მძიმე ტექნიკის ოპერატორის, კულინარიის პროფესიულ მიმართულებებში.

სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე 20 პირი ჩაერთო აღიარების პროცესში და მათ უღიარდა არაფორმალური განათლება კულინარიის ხელოვნების, სასტუმრო საქმის, იატაკისა და ფილის დაგების, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების, საავტომობილო გზების და ელექტროობის პროფესიებში;

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების 80 მოსარგებლემ გაიარა სწავლება მიმტანის, ბართენდერის დამხმარის, მიღება-განთავსების სპეციალისტის, დასუფთავების სპეციალისტის, კონდიტერიის და მზარეულის მიმართულებებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება მიიღო 170 მოსარგებლემ და სერტიფიცირდა 169 მოსარგებლე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 30,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 30,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: კონკურსის გზით შერჩეულმა 40-მა სტუდენტმა გაიარა სწავლება/სტაჟირება შემდეგ მიმართულებებში: მიმტანი, მიღება-განთავსების სპეციალისტი, გიდი, გაყიდვების აგენტი, ფსიქოლოგია და ადამიანური რესურსების მართვა. კურსდამთავრებულთაგან 28 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 22,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 22,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ახალგაზრდებში დარგობრივი ინგლისურის, კომპიუტერული და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების შეძენა/განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში Front-end, Back-end და Database დეველოპერის, დარგობრივი ინგლისურის და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების კურსი გაიარა კონკურსის გზით შერჩეულმა 15-მა მოსარგებლემ. კუსრდამთავრებულთაგან დასაქმდა 8.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდისგეგმა შეადგენს 35,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 35,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შერჩეული, პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე, 6 მოსარგებლე პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნა სამუშაო იარაღი/მოწყობილობა/ინვენტარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები 2024 წელს ახორციელებს 16 პროგრამას. აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2024 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, და შემდეგ 2 პროგრამას: აგროსექტორის მდგრადი განვითარების და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 60,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 23,2 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების - „აგრარული ფესტივალი“ განხორციელების წესის თანახმად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებებით აგრარული ფესტივალის ორგანიზების თანადაფინანსება, კერძოდ: მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება და მეღვინეობა და ღვინის წარმოება.

ღონისძიების - „აგრარული ფესტივალი“-ს მიმართულებით „მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება“ ფარგლებში სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოვლინდა ა(ა)იპ - აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია. 2024 წლის 24-25 აგვისტოს ქ. ბათუმში ა(ა)იპ - აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაციის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იქნა აგრარული ფესტივალი სახელწოდებით „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი 2024“, რომლის ღირებულებამ შეადგინა 19,8 ათასი ლარი, საიდანაც სამინისტროს მიერ თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 8,8 ათასი ლარი. ღონისძიების „მეღვინეობა და ღვინის წარმოება“ ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი, თუმცა მონაწილეობა არც ერთ პირს არ მიუღია.

ღონისძიების „აგრარული ფორუმი“ განხორციელების პროცედურების შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება. საკასო ხარჯმა შეადგინა 14,4 ათასი ლარი. ღონისძიების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილია ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 38,9 %

ქვეპროგრამის - აგრარული ექსტენციის მიწოდება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 277,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 256,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (10 კაცი)“ ფარგლებში აგრარული დარგის 9 სპეციალისტთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. საანგარიშო პერიოდში - 9 ექსტენციონისტის მიერ შესაბამისი ფაზების მიხედვით - მემცენარეობაში, მეცხოველეობასა და მეთევზეობაში განხორციელდა ექსტენციის მომსახურების მიწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში - 4 772 ფიზიკურ და იურიდიული პირზე, როგორც ინდივიდუალურად და ჯგუფურად, ასევე ინტერნეტ ექსტენციის სახით. საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 226,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „ექსტენციისათვის საჭირო აღჭურვილობის/ხელსაწყოების შეძენა“ ფარგლებში ექსტენციონისტების აღჭურვის მიზნით შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი და აგრარული ექსტენციის თანამშრომელთათვის სხვადასხვა სახის ტანსაცმელი, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 4,2 ათასი ლარი.

ღონისძიების - „საინფორმაციო მასალების მომზადება“ ფარგლებში საინფორმაციო მასალების, კერძოდ ბროშურებისა და ტრიპლეტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საფუძველზე შესყიდულია 1 900 ერთეული ბროშურა და 5 777 ერთეული ტრიპლეტი, ანგარიშსწორება განხორციელდა - 4,9 ათას ლარზე.

ღონისძიების - „სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალ(ებ)ისათვის განხორციელებული აგროტური“-ს ფარგლებში აგროტურის

მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) საფუძველზე ღირებულებით - 6,2 ათასი ლარი, გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა I აგროტური, ვიზიტი - რაჭა, ონი-ამბროლაურის მუნიციპალიტეტში - კოოპერატივი „რაჭის ნატურალური პროდუქტები“- თაფლის საწარმოში, კომპანია „გეო-ფლაუერი“ - გამხმარი ჩირისა და სამკურნალო მცენარეების მწარმოებელ საწარმოში და კომპანია „როიალ ხვანჭკარა“- ღვინის საწარმოში; II აგროტური, ვიზიტი - სამეგრელო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - კომპანია „ჯეო-ნათსი“-ს თხილის საწარმოში, კომპანიაში „ვესტ ბესტ ბლუბერი პლანტი“- ლურჯი მოცვის პირველადი წარმოება და კომპანიაში „გემუანი“- სუბლიმირებული ჯანსაღი ხილ-ბოსტნეული. ანგარიშსწორება განხორციელდა - 6,2 ათას ლარზე.

ღონისძიების „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა“ ფარგლებში ღონისძიების განხორციელების პროცედურების შესაბამისად, გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერი (NAT240018234). ღონისძიების ფარგლებში გადამზადებულ იქნა 46 ქალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიებში. საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 15,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,4 %

პროგრამის - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 737,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 711,6 ათას ლარს.

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (12 ადამიანი)“ ფარგლებში გაფორმდა 11 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 310,1 ათასი ლარი. პროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 8,5 ათასი ლარი.

ღონისძიების - „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა ღონისძიების განხორციელების წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მიღებულია - 5 613 განაცხადი. აქედან ბენეფიციარად შეირჩა - 4 547 განმცხადებელი. შერჩეული ბენეფიციარებიდან საანგარიშო პერიოდში განაცხადებით გათვალისწინებული საქონელი შესყიდულ იქნა 4 343 ბენეფიციარის მიერ, რომლებსაც თანადაუფინანსდა შესყიდული საქონლის ღირებულება - 4 159,2 ათასი ლარის ოდენობით, 55 ბენეფიციარის თანადაფინანსება განხორციელდება 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო 149 ბენეფიციარმა უარი განაცხადა.

ღონისძიების - „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შემუშავებულია განხორციელების წესი, აღნიშნული წესის შესაბამისად 2024 წელს მიღებულია 16 განაცხადი, რომელთა თანადაფინანსებაზე განხილვა განხორციელდება 2025 წელს, ამასთან 2023 წელს მიღებული განაცხადებიდან საანგარიშგებო პერიოდში თანადაფინანსდა ერთი ბენეფიციარი, რომლის პროექტის ჯამური ღირებულება არის 49,4 ათას ლარი, საიდანაც სამინისტროს მიერ თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 33,8 ათასი ლარი.

ღონისძიების - „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მცირეფასიანი სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში შემუშავებულია ღონისძიების განხორციელების წესი, მიღებულია 780 განაცხადი, საიდანაც შეირჩა - 510 ბენეფიციარი, თანადაფინანსდა - 508 ბენეფიციარი თანხით 200,0 ათასი ლარი, ხოლო 2 განმცხადებელმა უარი განაცხადა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

აიპ „აგროსერვის ცენტრი“ 2024 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - აგროსერვისის განვითარება რეგიონში მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვას, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შემდეგ სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 459,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 449,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (5 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 5 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 87,1 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 15,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეების დადან - ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტით უზრუნველყოფა“ ფარგლებში ხელშეკრულების შესაბამისად ეტაპობრივად მოწოდებულია 2 000 ცალი დადან-ბლატის ტიპის სკა, რაც საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით გაცემულია ფერმერებზე, საკასო ხარჯმა შეადგინა 346,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8 %

ქვეპროგრამის - აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 450,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 416,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (5 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 4 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 77,7 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 87,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული - 2,170.0 ჰა სახნავ - სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება. კერძოდ: ქობულეთის, ქ. ბათუმისა და

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი - 1,370.0 ჰა ნაკვეთების დახვნა, დადისკვა, დაფარცხვა; ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტი - 800 ჰა ნაკვეთების პირველადი დამუშავება, კერძოდ: 400 ჰა დაუხნავი ნაკვეთების დაფრეზვა და 400 ჰა-ს დახვნა, საიდანაც 150 ჰა-ს დაფრეზვა და 250 ჰა-ს დაფარცხვა განხორციელდება“ ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 2 280,47 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დამუშავება, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 251,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 644,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 536,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით შეძენილი იქნა 40 კგ ცვილი ვაზის მყნობისათვის, აგროქიმიკატები 5 580კგ/ლ, პესტიციდები 380 კგ/ლ, ბიოპრეპარატები 70 ლიტრი, ტორფის სუბსტრატი 180 000 ლიტრი, ორგანული სასუქი (ნაკელი) 140 ტონა, მოსაკირიანებელი საშუალება (დეფეკაციური ტალახი) 100 ტონა, ციტრუსის ხეხილის და ვაზის ნერგების წარმოებისათვის შეძენილია 27 000 ცალი ქოთანი, ასევე საჩითილე მეურნეობისთვის შეძენილია 218 600 ცალი ბოსტნეულის თესლი. ჩაქვის ციტრუსოვანთა, გვარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის და შუახევის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობებში ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია აგროტური.

მეურნეობების ფუნქციონირებისათვის გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

ანაზღაურებადი სტაჟირების გზით მიმდინარეობს აგრარული მიმართულების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლება (სტაჟირება), ამ მიზნით გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 8 შრომითი ხელშეკრულება.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 73 შრომითი ხელშეკრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,4 %

პროგრამა - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას **„ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“,** რომლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 724,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 485,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში 2023-2024 წწ-ს ციტრუსის სეზონის ფარგლებში გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,30 ლარად შესყიდულ სამრეწველო მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,25 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 679,74 ტონა სამრეწველო მანდარინის

სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 1 169,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2024-2025 წწ-ს ციტრუსის სეზონის ფარგლებში სამრეწველო ციტრუსის გადამუშავების მიზნით, საწარმოს მიერ ფიზიკური პირიდან არანაკლებ 0,40 ლარად შესყიდულ ერთ კილოგრამ არასტანდარტულ მანდარინზე, გაცემული იქნა 0,35 ლარის ოდენობის სუბსიდია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 616,61 ტონა სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 2 315,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,6 %

პროგრამის - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 252,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 236,8 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება, საანგარიშო პერიოდის მონაცემებით ხელოვნური განაყოფიერების გზით რეგიონში განაყოფიერებული იქნა 4 520 სული პირუტყვი, საკასო ხარჯმა შეადგინა – 164,8 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ოთხი შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 72,0 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 93,9 %

პროგრამის - სამელიორაციო სისტემის მართვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 811,2 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 491,3 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (15 კაცი)“ ფარგლებში გაფორმებულია 12 შრომითი ხელშეკრულება, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 256,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროგრამის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შესყიდულია პოლიეთილენის მილების შედუღების აპარატი და საწვავ-საპოხი მასალები, საკასო ხარჯმა შეადგინა 75,1 ათასი ლარი.

ღონისძიების „ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება“ ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაოების პერიოდული ტექნიკური მომსახურება, საკასო ხარჯმა შეადგინა 35,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, მოვლა-შენახვა“ ფარგლებში შეძენილია პოლიეთილენის 564 გრძივი მეტრი, ლითონის 90 გრძივი მეტრი

და გოფრირებული 2 742 გრძივი მეტრი მილები, რომელთა არხებში მოწყობა ხორციელდება მოვლა შენახვის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების მეშვეობით, საანგარიშო პერიოდში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა 8 სარწყავ და დამშრობ არხს 41,551 კმ არხზე. საკასო ხარჯმა შეადგინა 1 076,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ ფარგლებში მომზადებულია 10 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საკასო ხარჯმა შეადგინა 48,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის საფუძველზე.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 82,3 %

პროგრამის - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 154,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 153,9 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ადმინისტრირების“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა ერთი შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯი, სულ თანხით 13,2 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 0,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დადგენილი წესით ფერმერების მიერ სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის სუბსიდირების საკასო ხარჯმა შეადგინა 140,6 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ახორციელებს ერთ პროგრამას - „ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ 2024 წელს ახორციელებს შვიდ პროგრამას, აქედან ოთხს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციულ მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და სამ პროგრამას. ხოლო სამ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო:

„გარემოსდაცვითი პროგრამა“ მოიცავს ერთ ქვეპროგრამას, **„ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“,**

რომლის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 53,4 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 53,4 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სსიპ „ლაბორატორიული კვლევით ცენტრ“-თან ატმოსფერული ჰაერის (132 სინჯი ღირებულებით 27,6 ათასი ლარი), ჩამდინარე წყლის (105 სინჯი ღირებულებით 13,0 ათასი ლარი) და ზედაპირული წყლის (105 სინჯი ღირებულებით 12,8 ათასი ლარი) შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე;
2. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 132 ატმოსფერული ჰაერის, 105 ჩამდინარე და 105 ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი, საკასო ხარჯმა შეადგინა 53,4 ათასი ლარი.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 9 ფაქტი. ჩამდინარე წყალში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 835,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 364,7 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები (მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები და სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა)“ ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლის ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების (პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა, საკასო ხარჯმა შეადგინა 13,5 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლის პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების შესყიდვაზე, ელექტრონული ტენდერის ფარგლებში (NAT240013551), ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ბონდი-2009“-თან. ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა წინასწარი ანგარიშსწორება 1 286,9 ათასი ლარის ოდენობით. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება 2025 წელს.

ზღვის სანაპირო ზოლის პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვაზე, განხორციელდა წინასწარი ანგარიშსწორება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან თანხით 64,3 ათასი ლარი. ხელშეკრულების (CMR240141409) თანახმად შესრულებული მომსახურების მიღება განხორციელდება 2025 წელს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა წარმოადგენს ტენდერის გამოცხადების შედეგად წარმოქმნილ ეკონომიას.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 74,4 %

პროგრამის - ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 350,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

პროგრამის „ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები“ ფარგლებში 2024 წლის პერიოდში მიმდინარეობდა ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სკრინინგის პროცედურები.

2024 წლის შემოდგომა-ზამთრის შტორმებიდან გამომდინარე მოხდა ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდობის გადაღრმავება. ამდენად, პროექტით გათვალისწინებული ფერდობის ხელოვნურად განტვირთვის პროცესი შტორმის პერიოდში მოხდა ბუნებრივად, კრიტიკული აკუმულირებული მასალის სიღრმისაკენ დაცურვით. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდობის შესწავლის, ჭარბი აკუმულაციის უბნების გამოვლენისა და მოსალოდნელი რისკების შემცირების მიზნით სათანადო კვლევის პროექტიით გათვალისწინებული ღონისძიებები კარგავს თავის აქტუალურობას და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება ამ ეტაპზე აღარ იყო საჭირო.

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“:

პროგრამის - ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 343,4 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 342,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დეგრადირებული ტყეების ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის მიზნით შეღობილია 100 ჰა ტყის ფართობი, ასევე განხორციელდა ღონისძიებები: 3 100 ცალი ფერომონის შეძენა, დაავადებული ტყის ფართობებზე მწერსაჭერი ხაფანგებისა და ფერომონების განთავსება (მონტაჟი), მონიტორინგი, ჩამოხსნა და დემონტაჟი/დასაწყობება, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 342,9 ათასი ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის – სანიტარული ჭრა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 518,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 514,9 ათასი ლარი.

ღონისძიებისათვის „სანიტარული ჭრა“ ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ორ ნაწილად ტერიტორიული ნიშნის მიხედვით: 1. ხელშეკრულება გაფორმებულია 2 700 კბ.მ. სანიტარულ ჭრაზე, სანიტარული ჭრა ხორციელდება სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (ხულო, შუახევი, ქედა). 2. ხელშეკრულება გაფორმებულია 1 300 კბ.მ. სანიტარულ ჭრაზე. სანიტარული ჭრა ხორციელდება სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის ტყის ტერიტორიაზე; მავნებლებით დაავადებულ ნაძვნარებში განხორციელდა სანიტარული ჭრა 4 000 კბ.მ. ტყის გაჯანსაღების მიზნით. კერძოდ, დაავადებული ხეების მოჭრა, დამუშავება, ჯირკების გაქერქვა, მერქნის, ტოტებისა და ქერქის ტყიდან გამოტანა. გამოტანილი ხე-ტყის გაქერქვა და დასაწყობება, წიწვოვანი სახეობის ნაძვის, (იშვიათად სოჭის), ხე-ტყის/ მერქნული რესურსის დამზადება-გამოზიდვა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 514,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

პროგრამის - „საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში ხორციელდება ერთი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 39,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 31,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სატყეო სექტორთან დაკავშირებული თორმეტი ღონისძიება, შეძენილია 1 100 ცალი ბუკლეტი და დამზადებულია ვიდეორგოლი, საკასო ხარჯმა შეადგინა 20,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (5 სტუდენტი და კურსდამთავრებულის სტაჟირება)“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 5 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა 11,6 ათასი ლარი შეადგინა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,0 %

პროგრამის - ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.

ქვეპროგრამის „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 591,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 444,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 33 520 მეტრი ახალი გზის მშენებლობა და 183 000 მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 1 038,8 ათას ლარს.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაუფრომდათ 19 ტექნიკურ მუშაკს, რომელთა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 329,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „მეტყევის სახლების მოწყობა“ ფარგლებში განხორციელდა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე 1 (ერთი) ერთეული მეტყევის სახლის (კოტეჯის) მშენებლობა, საკასო ხარჯი შეადგენს 49,4 ათას ლარს.

ღონისძიების „4 ერთეული სამანქანე ხიდის მშენებლობისა და 3 ერთეულის წყალგამტარი ღარის პროექტირება, ზედამხედველობა და მშენებლობა“ ფარგლებში განხორციელდა სამუშაოების პროექტირება, საკასო ხარჯი შეადგენს 26,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,8 %